აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№105 (24.985) სამშაბათი, 27 - 28 სექტემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 22-27, შიდამთიან რაიონებში - 18-23, მაღალ მთაში - 10-15 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 21 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 767 მილიმეტრი.

მომდევნო 3 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

ფასებისა და ინფლაციის შემცირება უნდა გაგრძელდეს მომდევნო თვეებშიც და არსებული პროგნოზებით, ინფლაციის მაჩვენებელი განსაკუთრებით უნდა დაუახლოვდეს 2023 წლის მეორე კვარტლის მიზნობრივ მაჩვენებელს, რაც არის 3% , - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ. მისი თქმით, ინფლაცია საქართველოში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. რაც შეეხება საწვავს, მინისტრმა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში საერთაშორისო ბაზრებზე საწვავთან მიმართებაში ფასის შემცირება ფიქსირდება, რაც გარკვეული დროის შემდეგ ასახვას ჰპოვებს საქართველოში.

* * *

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2008 წელს საქართველო-რუსეთის ომის დროს რუსეთის მხრიდან ჩადენილი ომის დანაშაულების გამოძიება, - ამის შესახებ საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის 27-ე წლიურ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. როგორც შოთაძემ აღნიშნა, სესიის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანი საკითხი იქნება უკრაინაში რუსეთის მხრიდან წარმოებული აგრესიის და ომის შედეგად მომხდარი დანაშაულების გამოძიება და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები.

* * *

„ქართულ ოცნებას“ სურს, ცესკოს არსებულ შემადგენლობას გაუხანგრძლივოს ვადა და უზრუნველყოს, რომ ცესკოში მათ მიერ კონტროლირებადი უმრავლესობა იყოს, - ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა ლევან ბეჟუაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, „ოცნება“ საკითხის განხილვას განგებ აჭიანურებს. „ცენტრალური საარჩევნო კომისია არის მთავარი ბერკეტი, რითაც „ქართული ოცნება“ აყალბებდა არჩევნებს. ბუნებრივია, სამომავლოდ, სახელისუფლებო ბრძოლისთვის მათთვის განმსაზღვრელია, რომ ცესკოს სრულად აკომპლექტებდეს“, - განაცხადა ბეჟუაშვილმა.

* * *

მივესალმები იმას, რომ საქართველოს პარლამენტმა გაწერა წესი, თუ როგორ უნდა მოხდეს სახალხო დამცველის არჩევა, თუმცა, ცუდია, რომ ეს წესი არის ერთჯერადი, - ამის შესახებ სახალხო დამცველმა ომბუდსმენის არჩევის წესთან დაკავშირებით განაცხადა. ნინო ლომჯარიას თქმით, მთავარია, არჩეული იყოს რეალურად დამოუკიდებელი, კვალიფიციური კანდიდატი, კომისია კი იყოს წარმომადგენლობითი და მისი შეფასებები ეჭვებს არ იწვევდეს.

მოამზადა
ია ფფალიძემ

„ბათუმის დღეები“ – ტრაპიზონში

„ბათუმის დღეების“ ფარგლებში აჭარის ოფიციალური დელეგაცია ორდღიანი ვიზიტით თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში იმყოფებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე. ვიზიტის ფარგლებში, აჭარის დელეგაცია ტრაპიზონის გუბერნატორს და მერს ისმაილ უსტაოღლუს და მურათ ზორლუოღლუს შეხვდა. საუბრისას ხაზი გაესვა ორ ქალაქს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობასა და მეგობრულ ურთიერთობებს. შეხვედრის ფარგლებში, ხელი მოეწერა ბათუმსა და ტრაპიზონს შორის ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების განახლებულ აქტს.

ტრაპიზონის ტურიზმის დეპარტამენტში გულთბილი შეხვედრა გაიმართა აჭარის დელეგაციის წევრებსა და ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შორის... შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობებსა და ურთიერთმხარდაჭერას.

საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლების მიერ უცხოეთში არსებული ქართული დიასპორების გაძლიერებისთვის გატარებულ ღონისძიებებზე ისაუბრა. როგორც მან განაცხადა, საქართველო არის იმ მცირე ქვეყნების რიცხვში, რომელთაც კონსტიტუციებში აქვთ ჩანაწერი უცხოეთში მცხოვრებ მოქალაქეებთან დაკავშირებით. სწორედ ამ ჩანაწერის საფუძველზე შეძლო ქართულმა სახელმწიფომ არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება, მათ შორის, უცხოეთში მოქმედი ქართული ანსამბლების მხარდაჭერა, მუსიკალური ინსტრუმენტებით, ტრადიციული ცეკვის ტანისამოსით აღჭურვა და სხვა.

დავით გაბაიძემ ყურადღება გაამახვილა ქართული დიასპორის მნიშვნელოვან როლზე ორ ქვეყანას, საქართველო-თურქეთს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების განვითარებისა და კიდევ უფრო გაღრმავების საქმეში.

ტრაპიზონის ტურიზმის დეპარტამენტში გამართულ შეხვედრაში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად, თურქეთის ტურიზმისა და გიდების ასოციაციების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. აქ მოეწყო გამოფენა და გაიხსნა აჭარული კუთხე, სადაც ნახატები, ქართული სამოსი, ინსტრუმენტები და ქართული პროდუქცია იყო წარმოდგენილი.

ბათუმსა და ტრაპიზონს შორის მრავალწლიანი ურთიერთობის და „ბათუმის დღეების“ აღსანიშნავად, სპეციალური საფოსტო მარკა დაიბეჭდა, რომლის პრეზენტაციაც მოეწყო.

დელეგაციის წევრები დაესწრნენ ბიზნესფორუმის გახსნას, ასევე, „ბათუმის დინამოსა“ და „ტრაბზონსპორის“ 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის გამართულ ამხანაგური მატჩს. „ბათუმის დღეები“ ტრაპიზონში გალა კონცერტით დასრულდა, რომელშიც ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“ და ბათუმის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“ მონაწილეობდნენ.

ანკა ჩხიკვაძე

განიხილეს EBRD-თან თანამშრომლობით განხორციელებული პროექტები

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კავკასიის რეგიონულ დირექტორ კატარინა ბიორლინ ჰანსენსა და ბანკის სათავო ოფისის წარმომადგენლებს შეხვდა.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის მერია EBRD-თან წლებია თანამშრომლობს. ერთობლივად არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მათ შორის, „ბათუმის ავტობუსების პროექტი“, რომლის ფარგლებშიც თანმიმდევრულად მიმდინარეობს ბათუმის მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლება, ასევე, ბათუმის „მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა“, რომელიც EBRD-ის გავლით დაფინანსდა და 2020 წელს დამტკიცდა. გეგმა მიზნად ისახავს ქალაქის გარემოს დაცვასა და მდგრადობასთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, პრიორიტეტების განსაზღვრასა და ინტერვენციის ხერხების განვითარებას, სადაც, სტრატეგიულ დაგეგმვასთან ერთად, გათვალისწინებულია ინვესტირება და ტექნიკური დახმარება. ბათუმის „მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა“ განიხილავს გარემოს პირობებზე მოქმედ სექტორებს, მათ შორის, ტრანსპორტს, ენერგეტიკას, ინდუსტრიას, მიწათსარგებლობას, ნარჩენებისა და წყლის მართვას.

შეხვედრაზე განიხილეს EBRD-თან თანამშრომლობის ფარგლებში ბათუმში განხორციელებული პროექტები, იმსჯელეს სამომავლოდ ერთობლივი პროექტების შექმნის შესაძლებლობებზე.

ანკა ჩხიკვაძე

ტრაგიკული თარიღი საქართველოს უახლეს ისტორიაში

3

სურვილი და მოსაზრება ერთია, მაგრამ...

4

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ბიუროს წევრებმა სხდომაზე განიხილეს დადგენილების პროექტი - „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 07 აპრილის № 15 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ



ბიუროს სხდომაზე განსახილველად ასევე წარდგენილი იყო განკარგულების პროექტი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ თხილნარსა და სოფელ მახოში მდებარე გარე განათების ბოძების შპს „ვი-ჯიეს აჭარისთვის“ პირდაპირი გზით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საფასურის დადგენის შესახებ.

ბიუროს სხდომაზე გადაწყდა, რომ დღის წესრიგით წარდგენილი საკითხები გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოგზაურობა ფერთა ლაბირინთებში

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის ხელოვნების მუზეუმის გალერეაში ბათუმელი მხატვრის თემურ დადიანის პერსონალური გამოფენა გაიმართა. როგორც მხატვარმა გვითხრა, ხატვა ხუთი წლის ასაკში დაიწყო და მას შემდეგ ყოველთვის ეძებს ახალ სათქმელს, ფორმებს. მხატვრობის არაერთ მიმართულებაში იმოგზაურა, თუმცა, მიაჩნია, რომ პორტრეტების ხატვა ყველაზე რთული პროცესია, რადგან ამ შემთხვევაში უმთავრესია ჩასწვდე ადამიანების სულს და ზუსტად გამოხატო მათი შინაგანი ემოცია

- ვხატავდი პეიზაჟებს, ნატურმორტებს, თუმცა ბოლო პერიოდი, დაახლოებით ათი წელი, ვეუფლები პორტრეტების ხატვას, რადგან იგი კიდევ უფრო სიღრმისეულ მუშაობას მოითხოვს. ბოლო ორი წელია „გადავეშვი“ აბსტრაქციაში, რაც ძალიან მსიამოვნებს და ასე მგონია, თავს არასდროს დავანებებ, - ამბობს თემურ დადიანი.

მიაჩნია, რომ მისი ნახატების ხილვისას, სიმშვიდე ეუფლებათ ადამიანებს, რადგან ის ფერები, რაც მის შემოქმედებაში გვხვდება, ესთეტიკური და სასიამოვნო ემოციების მომგვრელია.

- ჩემს შემოქმედებაში ყველაზე დიდი ადგილი ნაცრისფერს და ყვითელს უჭირავს. შეიძლება ვიღაცისთვის ნაცრისფერი სევდასთან ასოცირდება, მაგრამ ჩემთვის ის სიმშვიდესთან არის გაიგივებული, ყვითელი კი მზის ფერია, სიცოცხლის ფერი. ასევე მომწონს ლურჯის და მწვანის კომბინაცია. ფერი არის ემოცია, მის გრადაციაზე არის ყველაფერი დამოკიდებული, - აღნიშნავს მხატვარი.

პორტრეტებთან ერთად, თემურ დადიანი კარიკატურებსაც ხატავს. თვლის, რომ ამ კუთხით ბათუმში პირველია და წინ ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეები ელოდება როგორც მოწოდებით ფერმწერს და ადამიანს, რომელიც მუდმივად მიისწრაფვის ზრდისა და განვითარებისკენ. ძალიან სურს, ხელოვანების შრომა სათანადოდ დაფასდეს, რათა მათ აღიარებასთან ერთად ჰქონდეთ ფინანსური საშუალება, რომ უფრო მეტი შექმნან და განავითარონ.

ხის მეჩეთების გამოფენა

ბულგარში, კოლონადებთან, ხის მეჩეთების გამოფენა მოეწყო. დამთვალიერებელს რეგიონში არსებული მეჩეთების 30 ფოტომასალის ნახვა შეეძლო. გამოფენა, რომლის ორგანიზატორი გახლდათ ახალგაზრდა რეგიონული სამოქალაქო საზოგადოება „სოლიდარობის თემი,“ „კავკასიური სახლისა“ და PIN-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა

„აჭარული ხის მეჩეთები ქართული ისლამური კულტურის უნიკალური და საუკუნოვანი ნიმუშებია, რომლებსაც სჭირდებათ მოვლა და აღიარება. ამ გამოფენის მიზანია, თვალხილული გახდეს ეროვნული ქარგის ეს შეუმჩნეველი ნაწილი და წარმოჩნდეს მისი პოტენციალი აჭარის ტურისტული შესაძლებლობების განვითარებაში.

ამ მეჩეთების ნაწილი საუკუნეზე მეტს ითვლის. ექსტერიერი ძირძველ აჭარულ სახლს მოგაგონებთ, ინტერიერი კი ქართულ-ისლამური კულტურის საუკუნო კავშირის დასტურია.

ქართული მეჩეთების ჩუქურთმების რელიეფური და ნაკვეთი ნიმუშები უნიკალურია მთელს ევროპაში. მის მოპირკეთებას კი ლაზ ოსტატებსა და ადგილობრივებს უმადლიან.

გამოფენის მიზანია ქართულ-ისლამური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზება, რაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ტურისტული თვალსაზრისითაც,“ - ამბობენ გამოფენის ორგანიზატორები.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდულმა რეგიონულმა სამოქალაქო საზოგადოება „სოლიდარობის თემმა“, მეჩეთების მოვლა-პატრონობის საჭიროებიდან გამომდინარე, 16 სექტემბერს პეტიციით მიმართა აჭარის უმაღლეს საბჭოს.



ანკა ჩხიკვაძე

ბსუ-ში თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორია გაიხსნა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სასწავლო ლაბორატორია გაიხსნა. გადამზადების პროგრამა „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც 9 ადგილობრივი კადრი-ტრენერი გადამზადდა. პროექტის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია 250 მსმენელის გადამზადება, მათ შორის, ბსუ-ის ბაზაზე გადამზადდება 50 მსმენელი. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს რეგიონში უწყვეტი განათლების მიმართულებით სწავლების შესაძლებლობების გაფართოებას, სფეროთი დაინტერესებულ ახალგაზრდებში უზრუნველყოფს პროფესიული უნარების გაძლიერებას, ასევე, შესაძლებელი იქნება ლაბორატორიული მიმართულებით კადრების დასაქმება. პროექტის მიზანია საქართველოს ოთხ უნივერსიტეტში, მათ შორის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაინერგოს ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროფესიული გადამზადების პროგრამები და პროექტები. როგორც აღნიშნული ლაბორატორიის გახსნისას გამომსვლელებმა განაცხადეს, კოვიდპანდემიამ აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ლაბორატორიული პრაქტიკა და ამ კუთხით პროფესიონალი კადრების არსებობა. შესაბამისად, აუცილებელია სხვადასხვა პროფილის ლაბორატორიებში დასაქმებული პერსონალის უსაფრთხო ლაბორატორიული პრაქტიკის უნარ-ჩვევების ამაღლება, რაშიც, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტში გახსნილი ლაბორატორია უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს.

ექსპერტებმა მოიწონეს

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

საქართველოში თამბაქოს მეორადი კვამლის საწინააღმდეგო პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებათა სამი წლის ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი „თამბაქოს თავისუფალი კოალიციები საქართველოსა და სომხეთში“ აშშ-ის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტისა და ემორის უნივერსიტეტის მხარდაჭერით განხორციელდა. იგი საქართველოს პარალელურად, ინერგებოდა სომხეთშიც. პროექტში ჩართული იყო აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც რანდომიზირებული კვლევის საფუძველზე ღონისძიებებს ხულოს მუნიციპალიტეტში ახორციელებდა. აჭარის რეგიონში თამბაქოს კვამლისგან თავისუფალი გარემოს შექმნისთვის შესრულებულმა სამუშაომ უცხოელი ექსპერტების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

- აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი სამი წლის განმავლობაში აწარმოებდა რანდომულად შერჩეული კოალიციის მიერ თამბაქოს მეორეული კვამლის მავნე ზემოქმედების შესწავლას ხულოს მუნიციპალიტეტში. დღეს წარდგენილი იყო პრეზენტაცია, რომელზეც სამწლიანი მუშაობა შეჯამდა, შედეგები არის დიდად იმედის მომცემი. ეს იყო ერთ-ერთი წარმატებული პრეზენტაცია, რომელმაც დაიმსახურა დიდი მოწონება და მაღალი შეფასება, - განაცხადა აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა რუსუდან შავიშვილმა.

პრეზენტაცია ბორჯომში გაიმართა, სადაც, ძირითადად, საუბარი იყო, თუ როგორ უნდა მოხდეს ბავშვების დაცვა მეორადი კვამლისგან და რა უნდა გაკეთდეს ამისთვის.

- დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, პოკარდის პროგრამის ფარგლებში, ახორციელებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრებისა და, ზოგადად, საზოგადოების განვითარებას. ჩვენი ძირითადი თემა გახლავთ თამბაქოს კონტროლი, თამბაქოს კონტროლის გაძლიერება, განსაკუთრებით, მეორადი კვამლისგან ბავშვების დაცვა. 7 მუნიციპალიტეტი მონაწილეობს ამ პროექტში და შვიდივეს არჩეული ჰქონდა სხვადასხვა გზა პროექტის მიზნების მისაღწევად. მინდა გამოვყო ხულოს მუნიციპალიტეტი, რომელიც გამორჩეულია როგორც ახალი მიგნებებით, მიდგომებით, ისე ბავშვების ჩართულობით. როგორც ხულოს მუნიციპალიტეტი, ასევე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მხოლოდ გარკვეული მეთოდური დახმარებით ცდილობდა მხარში დადგომოდა მათ. ძალიან საინტერესო იყო ხულოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის გამოსვლა, რომელმაც მიმოიხილა ამ წლების განმავლობაში გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები. საგრძნობლად გაუმჯობესებულა ცოდნის დონე ხულოს მუნიციპალიტეტში როგორც ზრდასრულებში, ასევე ბავშვებში. დიდი იმედი მაქვს, რომ გაგრძელდება ჩვენი თანამშრომლობა და უკვე სხვა მიზნებისთვის ერთობლივად მომავალშიც ვიმუშავებთ, - განაცხადა გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსმა ლელა სტურუამ.

ტრაგიკული თარიღი საქართველოს უახლეს ისტორიაში

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველოს ისტორიაში 1993 წლის 27 სექტემბერი ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თარიღია. ამ დღეს, 29 წლის წინ სოხუმი დაეცა და რუსეთმა აფხაზეთის ფაქტობრივი ოკუპაცია მოახდინა, რამაც ჩვენი ქვეყანა მრავალი განსაცდელის წინაშე დააყენა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით: 300 ათასი ქართველი გამოდევნეს საკუთარი მამულიდან, მოხდა ქართველთა ეთნოწმენდა, რაც უპრეცედენტო მოვლენაა მსოფლიო პოლიტიკაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, თუ არ ჩავთვლით ამჟამინდელ რუსეთ-უკრაინის ომს.

ნათქვამია, საქართველოს ისტორია ომების ისტორიაა, დიახ, მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მატიანე ღირსშესანიშნავი თუ ავბედითი ბრძოლებითაა გამორჩეული, თუმცა გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის ომი, როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე ტრაგიკული და საბედისწერო ომი იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში. ჩვენს ქვეყანას თავისი ძირძველი ტერიტორია - აფხაზეთი რუსეთმა წაგლიჯა. რატომ ვერ შეინარჩუნა საქართველომ აფხაზეთი, რა იყო დამარცხების მიზეზი და როგორ უნდა იმოქმედოს ჩვენმა ქვეყანამ შექმნილ ვითარებაში? ეს კითხვები განსაკუთრებით 27 სექტემბერს - სოხუმის დაცემის დღეს გვეძალება.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩრდილოელმა მეზობელმა კარგად ისარგებლა ქართული მხარის შეცდომებით. ვიდრე საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდებოდა, პრეზიდენტმა გამსახურდიამ საერთო ენა გამონახა აფხაზებთან. საქმე ის არის, რომ 1991 წლის აგვისტოში აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნებზე სიტუაცია ომის ზღვრამდე მივიდა, თუმცა მოხერხდა კომპრომისის პოვნა და ვითარეგის დარეგულირება.

მას შემდეგ, რაც საქართველოს კანონიერი ხელისუფლება დაამხეს და მმართველობა სამხედრო საბჭომ ჩაიბარა, მან რამდენიმე თვეში მოსკოვიდან ედუარდ შევარდნაძე ჩამოიყვანა და ქვეყნის მმართველობა ჩააბარა. რა გააკეთა ახალმა ხელისუფლებამ? იმის მაგივრად, რომ ერი გაეერთიანებინათ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში, დაიწყეს საზოგადოების დაყოფა „იმისტებად“, „ამისტებად“, ყველაზე სავალალო იყო, რომ სამეგრელო ააწიოკეს, მიზეზი - თურმე დამნაშავეების დაჭერა გახდა საჭირო. ბევრი უდანაშაულო დაიღუპა, დასახიჩრდა, დაინვალიდდა და ეს მაშინ ხდებოდა, როცა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სიტუაცია უარესდებოდა.

რატომ სჩადიოდნენ ამას მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები? ნუთუ არ ესმოდათ, რომ სამეგრელოს აწიოკებით ზვიადისტების მხარდაჭერას კარგავდნენ? ცხადია, იმდროინდელმა ხელისუფლებამ ქვეყნის წინაშე წარმოქმნილ გამოწვევებს სათანადოდ ვერ უპასუხა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ამ ხელისუფლების მოსვლის დღიდან, პრაქტიკულად, გაძლიერდა სეპარატიზმის ტენდენცია რეგიონებში, ცხინვალის რეგიონში განახლდა საომარი მოქმედებები, ხოლო აფხაზეთში შეიქმნა (რუსეთის ხელშეწყობით) მისი საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლის პირობები. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი მაშინდელი მთავარობის შეცდომა კარგად გამოიყენა აფხაზურ-რუსულმა მხარემ. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღებამდე, რამდენიმე კვირით ადრე, ქართული გვარდიის ნაწილი აფხაზეთში შევიდა ზვიადისტებისგან გაწმენდის მიზეზით, მათ გაიარეს გალი, ოჩამჩირე, სოხუმი, გაგრა და საქართველო - რუსეთის საზღვარს, მდინარე ფსოუს მიაღწიეს. ალბათ, მკითხველი იკითხავს - მაშინ რატომ არ გაუწიეს წინააღმდეგობა ქართულ არმიას აფხაზებმა და რუსებმა, რა იყო ამის მიზეზი? ცხადია, მათ ილუზია შეუქმნეს ქართულ მხარეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ქართული ჯარი ადვილად შეძლებდა ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, მით უმეტეს საბჭოთა კავშირი არ არსებობდა.

რამდენიმე თვეში ქართულმა მხარემ მთელი ძალით იწვნია, სინამდვილეში რა მიზანს ისახავდა რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში. „რუსეთმა ილუზია შეუქმნა თბილისს, რომ ის არ ჩაერეოდა საქართველოს შიდა საქმეებში, რატომღაც ამ დაპირებას ენდო მაშინდელი ხელისუფლება და სავალალო შედეგიც მიიღო“ - აღნიშნავდა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი გიორგი ჭანტურია. არადა, ჩვენს ხელისუფლებას კარგად რომ გაეთავისებინა კრემლის ვერაგობა, ამ გამოუსწორებელ შეცდომას არ ჩაიდენდა - ჩვენი ჯარი კვლავ შევიდა აფხაზეთში. ცხადია, ამის უფლება თბილისს ჰქონდა, მაგრამ სურვილი ერთია, რეალობა კი სულ სხვა. ჩვენი ხელისუფლება უნდა მიმხვდარიყო, რომ რუსეთი არ ცნობს საერთაშორისო ნორმებს და მისთვის დადებულ პირობებს ჩალის ფასი აქვს. როგორც ცნობილია, 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალები აფხაზეთში გადაადგილდა, რამაც მოახდინა სამხედრო ესკალაცია და დაიწყო ომი, რაც 1993 წლის 27 სექტემბერს დასრულდა ქართველების გამოდევნით აფხაზეთის ტერიტორიიდან. შედეგად მივიღეთ სამასი ათასი დევნილი, ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდა და დსთ-ში საქართველოს შესვლა. აფხაზეთის ომში რუსეთის აქტიური მონაწილეობა რომ არა, სეპარატისტები ვერ შეძლებდნენ საქართველოს დამარცხებას. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჯარისკაცები, მოხალისეები შეუპოვარად იბრძოდნენ 13 თვის განმავლობაში რუსეთის საჯარისო ნაწილების წინააღმდეგ. პრაქტიკულად, მარტო აღმოვჩნდით ძლიერი მტრის პირისპირ. მაშინ დასავლეთს ჩვენთვის არ ეცალა. სოხუმს ქართული ჯარი დაახლოებით ხუთი თვე იცავდა სხვადასხვა საჯარისო (რუსები, კაზაკები, ჩრდილოკავკასიელები, აფხაზები) ნაწილებისგან. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება მოტყუვდა. სოხუმის დაცემამდე რამდენიმე თვით ადრე სოხუმის დამცველები პრაქტიკულად, განიარაღებულნი დარჩნენ (მოსკოვის ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეებს მძიმე შეიარაღება უნდა გაეტანათ მიმდებარე ტერიტორიიდან). სეპარატისტებმა პირობა არ შეასრულეს და სექტემბერში დაიწყეს სოხუმის შტურმი, რამაც მტერს გაუადვილა სოხუმის აღება.

დავუბრუნდეთ დღევანდელ რეალობას: აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულია, მათი დამოუკიდებლობა რუსთმა აღიარა. ის, რომ აფხაზეთის და ასევე ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა რუსეთის გარდა არცერთმა წამყვანმა სახელმწიფომ არ აღიარა, ნუგეში ვერ იქნება. აფხაზებს გაფართოებული ავტონომია აღარ ხიბლავთ. მათ გულს ვერც ფედერაციული სტატუსით მოიგებ, რაღაც უფრო განსაკუთრებული უნდა შევთავაზოთ, მაგალითად, კონფედერაციული სახელმწიფო. მით უფრო, რომ უკვე კარგად ჩანს, რუსეთი რა საშიში და ვერაგი ქვეყანაა მსოფლიოსთვის და აფხაზები ამაში უნდა დავარწმუნოთ. გარდა ამისა, უნდა შევქმნათ ცხოვრების ისეთი პირობები, რომ ჩვენთან ყოფნა აფხაზებისთვის და ოსებისთვის მიმზიდველი და მომგებიანი იყოს. ამ მხრივ ყველაზე საუკეთესო ფორმულაა ევროპული ყაიდის ქვეყნად გადაქცევა, სადაც ეკონომიკური კეთილდღეობა და დემოკრატიული წესწყობილება ნორმაა.

ცხადია, უახლოეს მომავალში გაგვიძნელდება ტერიტორიების დეოკუპაცია, თუმცა, თუ ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლება და მეორე მხრივ, დასავლეთი შეთანხმებულად იმოქმედებენ, ანუ რეალურ ზეწოლას განახორციელებენ რუსეთზე და ეს უკანასკნელი დამარცხდება უკრაინაში, რაც უკვე მოსალოდნელია, მაშინ დროთა განმავლობაში რუსეთი აუცილებლად დათმობს პოზიციებს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ხელს ვერაფერი შეუშლის.

> **„რუსეთმა ილუზია შეუქმნა თბილისს, რომ ის არ ჩაერეოდა საქართველოს შიდა საქმეებში, რატომღაც ამ დაპირებას ენდო მაშინდელი ხელისუფლება და სავალალო შედეგიც მიიღო“ - აღნიშნავდა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი გიორგი ჭანტურია. არადა, ჩვენს ხელისუფლებას კარგად რომ გაეთავისებინა კრემლის ვერაგობა, ამ გამოუსწორებელ შეცდომას არ ჩაიდენდა - ჩვენი ჯარი კვლავ შევიდა აფხაზეთში.**

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტისკენ ჯავშანტრანსპორტიორის მოძრაობას ადასტურებს, თუმცა...



რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახური ადასტურებს, რომ ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტისკენ ჯავშანტრანსპორტიორი „გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოძრაობს“, - ამ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

„ჯავშანტრანსპორტიორი იქ მოძრაობს, მაგრამ არა - საგუშაგოს გახსნის მიზნით, უხეშად რომ ვთქვათ, რეზერვია იმ შემთხვევაში, თუ რეზერვისტები მოინდომებენ საგუშაგოს გარღვევას და ქვეყნის დატოვებას სასაზღვრო ფორმალობების გარეშე“, - აცხადებენ უწყებაში.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

თეთრი სახლის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანი აცხადებს, რომ კატასტროფული შედეგები მოჰყვება, თუ რუსეთი გამოიყენებს ბირთვულ იარაღს უკრაინაში. „თუ რუსეთი გადალახავს ამ ზღვარს, კატასტროფული შედეგები მოჰყვება. შეერთებული შტატები გადამწყვეტად უპასუხებს“,- აღნიშნა მან. „ჩვენ გვსურს ჩამოვაყალიბოთ პრინციპი, რომ იქნება კატასტროფული შედეგები, მაგრამ არ ჩავერთოთ რიტორიკულ თამაშში. ასე რომ, რუსებს ესმით, სად ვართ, ჩვენ გვესმის, სად ვართ, გავაკეთებთ იმას, რაც აუცილებელია, რომ რუსეთი ამ ნაბიჯის გადადგმისგან შევაკავოთ და თუ გააკეთებენ, ჩვენ გადამწყვეტად ვუპასუხებთ“, - განაცხადა სალივანმა. მისივე თქმით, უკრაინის ტერიტორიებზე რუსეთის მიერ ჩატარებული „რეფერენდუმის“ საპასუხოდ „დიდი შვიდეული“ სანქციებს გაამკაცრებს.

* * *

ევროკავშირმა უნდა უმასპინძლოს მათ, ვინც საფრთხეშია მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო. თუ რუსეთში ადამიანებს საფრთხე ემუქრებათ იმის გამო, რომ არ იზიარებენ კრემლის გადაწყვეტილებას უკრაინაში ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ეს უნდა გავითვალისწინოთ, - ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა განაცხადა. მან, ასევე, აღნიშნა, რომ ევროკავშირმა უნდა გამოიჩინოს „ღიაობა მათთვის, ვისაც არ სურს, კრემლმა საკუთარი მიზნის მიღწევის საშუალებად აქციოს“.

* * *

ირანი მტკიცედ უნდა გაუმკლავდეს მათ, ვინც ქვეყნის უსაფრთხოებასა და სიმშვიდეს ეწინააღმდეგება, - ამის შესახებ ირანის პრეზიდენტმა იბრაჰიმ რაისიმ განაცხადა. მისივე თქმით, აუცილებელია პროტესტისა და საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დარღვევის ერთმანეთისგან გამიჯვნა. რაისიმ მოვლენებს ბუნტი უწოდა. საპროტესტო გამოსვლებმა ირანი მას შემდეგ მოიცვა, რაც ისლამური რესპუბლიკის „ზნეობის პოლიციის“ მიერ დაკავებული ქალი გარდაიცვალა. მედიის ინფორმაციით, ერთკვირიანი დემონსტრაციების შედეგად 35 ადამიანი დაიღუპა, საპროტესტო ტალღა კი ქვეყნის 31 პროვინციას მოედო.

* * *

ვლადიმერ პუტინის მიერ ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ რუსეთი 261 000-მა მამაკაცმა დატოვა, - ინფორმაციას **Новая газета Европа** ავრცელებს. გამოცემის ცნობით, რუსეთის პრეზიდენტის აპარატში ისეთი ატმოსფეროა, რომ ძალოვნებს და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს შეუძლიათ დაარწმუნონ პუტინი, დაკეტოს გასასვლელი „სანამ გვიან არ არის“. მედიის ინფორმაციით, რუსეთი ამისთვის ემზადება. აკრძალვა ნაწილობრივი იქნება - მესაზღვრეებს უკვე აქვთ მობილიზებულთა სიები. საზღვრების ჩაკეტვის შესახებ წერდა გამოცემა **Медуза**. მისი ვერსიით, საზღვარი 28 სექტემბერს დაიკეტება. რუსეთში 24 სექტემბერს მიიღეს კანონი, რომელიც საომარ მოქმედებებში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში თავისუფლების 10 წლამდე ვადით შეზღუდვას ითვალისწინებს. ამასთან, სამხედრო მობილიზაციის საწინააღმდეგო დემონსტრაციებზე უკვე 2000-ზე მეტი ადამიანია დაკავებული.

მოამზადა
ია შველიძემ

სურვილი და მოსაზრება ერთია, მაგრამ...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*პროფესორი **სერგო დუმბაძე** საკუთარი და თანამედროვე ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების შესახებ თავის მოსაზრებებს გვთავაზობს.*

- სასკოლო რეფორმა ისევ დახვეწის პროცესშია. ბატონო სერგო, საწყის ეტაპზე რა წინადადებებს გვთავაზობთ?

- თერთმეტწლიან სწავლებას სამი საფეხურით, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების გარეშე. უნდა მომზადდეს და პარლამენტმა დაამტკიცოს ეროვნული განათლების სტრატეგია და მის საფუძველზე შეიქმნას ქართული სკოლის მოდელი. პირველი საფეხურის სკოლა - ყველა სოფელში, პირველი, მეორე და მესამე საფეხურის სკოლა - თემში თუ ხეობაში ერთი, მოსწავლეთა კონტინგენტის მიხედვით. სოფლად II-III საფეხურის სკოლის მოსწავლეები იცხოვრებენ სკოლასთან არსებულ პანსიონში სახელმწიფოს ხარჯზე, ქალაქად კი იგი უნდა შეიქმნას საჭიროების მიხედვით. მოსწავლეთა ცოდნის შეფასება უნდა მოხდეს 4-ბალიანი ნიშნებით. ქულებით შეფასება კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის ფორმაა. ნიშნით შეფასდეს მოსწავლეთა ყოფაქცევა. შემოვიღოთ მოსწავლეთა ერთნაირი ფორმა სკოლებში, ყოველგვარი ზედმეტი ატრიბუტების ჩაბარების საფუძველზე (განმეორებითი გამოცდის ჩაბარება გამორიცხულია), ჩაირიცხება სტუდენტად. უნდა გაძლიერდეს მომთხოვნელობა მასწავლებელთა მიმართ. პირველ რიგში, მათი ხელფასი უნდა განისაზღვროს კატეგორიების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ 2500-3000 ლარისა. გასამრჯელო პერიოდულად გაიზარდოს.

- რატომ ანიჭებთ პედაგოგის პროფესიას ასეთ მნიშვნელობას?

- იმიტომ, რომ კარგი მასწავლებელი ღირსეული თაობის აღზრდის საწინდარია. სკოლებში უნდა აღდგეს მშობელთა კომიტეტები სამეურვეო საბჭოს ნაცვლად. შეიქმნას სტაბილური სახელმძღვანელოები. X, XI კლასებში შეიქმნას ჰუმანიტარული, ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და უცხო ენების ჯგუფები. აღდგეს კონტროლი სკოლაში - სასწავლო პროცესზე დირექტორის, მისი მოადგილის გაკვეთილებზე დასწრება, რესურსცენტრებისა და სამინისტროს მხრიდან ინსპექტირება, გაძლიერდეს რესურსცენტრის უფლებები. კათედრა დაუბრუნდეს უმაღლეს სკოლას, აქ კი აღდგეს მეთოდკომისიები. აღდგეს სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით“ სწავლება.

- ძნელად აღსაზრდელებს რას უპირებთ?

- შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას ძნელად აღსაზრდელ არასრულწლოვანთა აღრიცხვისა და მათთან მუშაობის ინსპექცია. ურიგო არ იქნება აქვე იყოს სპეცსკოლა.

- სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების რა გზებს ხედავთ?

- კვალიფიციური კადრებით სკოლების დაკომპლექტება და კონტროლი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე; მასწავლებელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება; აღდგეს სკოლის დირექტორის მოადგილის შტატი აღმზრდელობით დარგში, დაიშვას სკოლაში ფსიქოლოგის შტატიც, აღდგეს დილის გამამხნევებელი ვარჯიში და შემუშავდეს მოსწავლეთა დღის რეჟიმი; თუ გათვალისწინებული ღონისძიებები არასაკმარისი იქნება, მაშინ დირექტორის მიმართვით ჩაერიოს მანდატური (უმაღლესი პედაგოგიური განათლების პოლიციელი), რომელიც იმუშავებს სკოლის დირექტორის ხელმძღვანელობით და არა მასზე კონტროლით. დირექტორი, როგორც წესი, სახელმწიფოს საიმედო პიროვნებაა. მას სკოლა აბარია, ესაა მისი მოვალეობა. უფლების გარეშე მოვალეობა ალოგიკურია.

- საბჭოური სკოლის მოდელს ხომ არ ვაბრუნებთ?

- არავითარ შემთხვევაში. სკოლაში, ისე, როგორც ქვეყანაში, დაცული უნდა იყოს კანონის უზენაესობა, ქართული ტრადიციების მიხედვით უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი, ზნეობრივი და არა ძალადობრივი მიდგომა. უხერხულია გამოცდა ისეთ საგანში, რომელიც სკოლაში ცალკე არ ისწავლება. უნდა დავიცვათ ადამიანის უფლებები. სწორად უნდა გავიგოთ „აზრის გამოხატვის თავისუფლება“. აქ, ჩვენი აზრით, საუბარია არა ყოველგვარი, არამედ ჯანსაღი, საზოგადოებისთვის სასარგებლო, აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე. თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა და მისი პრაქტიკული გამოყენება. მასმედია მხოლოდ ინფორმაციის საშუალება კი არ უნდა იყოს, იგი აღზრდის ფუნქციასაც უნდა ასრულებდეს. ძალადობის, მკვლელობების და ა.შ. ფაქტების ილუსტრირება და აჟიტირება ახალგაზრდებს გზას უხსნის ბოროტებისაკენ. არასრულწლოვნები ხომ უფრო მიმბაძველები არიან.

- განათლების სამინისტროს რა როლს აკისრებთ?

- მიზანშეწონილია, განათლების სამინისტროს ჰქონდეს საკუთარი ტელევიზია, მისი კომპეტენცია იყოს განათლების სისტემის ტელერადიო მომსახურება. განათლება სახელმწიფოს პრიორიტეტადაა გამოცხადებული, რასაც მივესალმებით. ამისათვის კი საჭიროა კარგი, ნორმალური საზოგადოებრივი და მატერიალური გარემოს შექმნა. კარგი საზოგადოებრივი გარემოს შექმნის ყველაზე მთავარი ფაქტორია ნორმალური ეკონომიკური პირობების უზრუნველყოფა, დასაქმების გარეშე კი ეს შეუძლებელია. საბაზრო ეკონომიკით, ანუ მეწარმეობით, განვითარებადი ქვეყანა ვერ გაძლიერდება. ეს გზა მდიდარი, განვითარებული ქვეყნებისთვისაა. სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის შევსება, კლასში მოსწავლეთა რაოდენობა სამინისტროს მიერ დაწესებული ნორმატივებით უნდა განისაზღვროს. ჩვენი გამოცდილებით, ნორმალური სასწავლო პროცესის წარმართვისთვის ერთი სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი 400-500 მოსწავლეს არ უნდა აღემატებოდეს, თითო კლასში - 15-20 მოსწავლე. რაც შეეხება განათლების სისტემის მართვას (სკოლები, პროფტექნიკუმები თუ უმაღლესი სასწავლებლები), ეს ერთი სამინისტროს მიერ წარმოუდგენელია. განათლების მინისტრი უნდა იყოს განათლების ძირითად საფეხურებზე მუშაობის გამოცდილების მქონე პირი.

- დავუშვათ, მიიღეს თქვენი მოდელი...

- რა გვემართება ქართველებს? რატომ გაუქმდა ფუნდამენტური მეცნიერების უპოპულარესი ინსტიტუტები - მათემატიკის, ფიზიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ენათმეცნიერების, ფიზიოლოგიის და სხვა. თუ „ქართული სკოლის“ მოდელი მისაღები იქნება, ამ მოდელზე გადასვლა დაიწყოს პირველი კლასიდან - დანარჩენი კლასები იმუშავებენ საჯარო სკოლის არსებული პროგრამით. მოდელის განხორციელება დაიწყოს პედაგოგიური პროფილის (პედინსტიტუტი თუ პედაგოგიური პროფილის უნივერსიტეტი) ახალი მოთხოვნებით პედაგოგთა კადრების პირველი გამოშვების შემდეგ. თუ პროექტი მოგეწონებათ, მაგრამ სკოლის ხანგრძლივობის საკითხი დადგება, მაშინ ავტორი თანახმა იქნება 12-წლიან სწავლებაზე. მაშინ საბაზო სკოლა იქნება პირველი-მეათე კლასები და მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასები დარჩება გარდამავალ საფეხურად.

- უმაღლესი განათლების პედაგოგთა კადრების მომზადებაზე რა წინადადებები გაქვთ?

- პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უნივერსიტეტი ამზადებს სპეციალისტებს ცალკეული დარგისათვის, ხოლო პედაგოგიური კადრების მომზადება არასრულყოფილად ხორციელდება, რისი შედეგიც ჩანს დღევანდელ სკოლებში. პედაგოგთა კადრების მომზადების კომპეტენტური დაწესებულებაა პედაგოგიური ინსტიტუტი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში გამართული პედაგოგიური სასწავლებლები აღარ ფუნქციონირებს. განათლების სისტემაში კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის გზად გვესახება: საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებს შორის ორი ან სამი უნივერსიტეტი (რომელსაც განათლების და მეცნიერების სამინისტრო საჭიროდ ჩათვლის) გარდაიქმნას პედაგოგიურ ინსტიტუტად გამსხვილებული ფაკულტეტებით, საკუთარი საბაზო სკოლით, სადაც გაკვეთილებს ჩაატარებენ ინსტიტუტის პედაგოგები. ამით თავიდან ავიცილებთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებს შორის არსებულ პროგრამულ სხვაობას. შესაძლებელია ერთწლიანი პედაგოგიური პრაქტიკა (IV და V კურსების ბოლო სემესტრებში), ანდა ყველა ჰუმანიტარული პროფილის უნივერსიტეტში ფაკულტეტის სტატუსით შეიქმნას პედაგოგიური ინსტიტუტი 5-წლიანი სწავლებით, საფეხურების გარეშე, გამსხვილებული ფაკულტეტებით, საკუთარი საბაზო სკოლით, ერთწლიანი პედაგოგიური პრაქტიკით. პედაგოგიურ ინსტიტუტში თუ ფაკულტეტზე აბიტურიენტთა მიღება განისაზღვროს შემდეგი წესით: პედაგოგის სპეციალობის დაუფლების მსურველმა აბიტურიენტების საბუთების მიმღებ კომისიაში შეტანამდე, სასურველია გაიაროს ვიზუალური შემოწმება. სპეციალობის კათედრის გამგის, ფსიქოლოგისა და ვიზუალური და აკადემიური შემოწმების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაიშვას ლექციებზე მსმენელად.

- კიდევ რა მოსაზრება გაქვთ?

- აუცილებელია აღდგეს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი. სასურველია პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმაში შემოიღონ ახალი საგანი „პედაგოგიური მეტყველება“, მსგავსად თეატრალურ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული „თეატრალური მეტყველებისა“. ქვეყნის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკური განვითარების უმაღლესი ინტელექტუალური დონეა. უმაღლეს სასწავლებლებს დაუბრუნდეს კათედრა, როგორც სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ცენტრი, აგრეთვე, სპეციალობის თითოეულ სტუდენტზე უპირველესი პასუხისმგებელი სუბიექტი. საკითხავია, რა ფუნქცია აქვს უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილ ხარისხის სამსახურს - დოკუმენტების შემოწმება თუ სასწავლო პროცესის გაუმჯობესება? სკოლებში აღდგეს საგნობრივი მეთოდ-კომისიები. მთავარი სტატუსის ფორმალურად ამაღლება კი არა, არამედ, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაა.

> *„- პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უნივერსიტეტი ამზადებს სპეციალისტებს ცალკეული დარგისათვის, ხოლო პედაგოგიური კადრების მომზადება არასრულყოფილად ხორციელდება, რისი შედეგიც ჩანს დღევანდელ სკოლებში. პედაგოგთა კადრების მომზადების კომპეტენტური დაწესებულებაა პედაგოგიური ინსტიტუტი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში გამართული პედაგოგიური სასწავლებლები აღარ ფუნქციონირებს.*

ქართველების გადასაწყვეტია, რა დამოკიდებულება ექნებათ რუსეთის მოქალაქეების მიმართ...

საქართველოში ევროკავშირის ახალ ელჩ პაველ ჰერჩინსკის განცხადებით, ქართველების გადასაწყვეტია, რა დამოკიდებულება ექნებათ რუსეთის იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც ნაწილობრივი მობილიზაციის გამო ქვეყანას ტოვებენ და საქართველოში ჩამოდიან. აღნიშნულ საკითხზე ელჩს კითხვით ჟურნალისტებმა მიმართეს. „სამწუხაროდ, არ შემიძლია გითხრათ, რა დამოკიდებულება უნდა იყოს. ეს ქართველებმა და საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს. რა თქმა უნდა, შემიძლია სრულად გავიგო, რომ რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ ნაწილობრივ მობილიზაციასთან დაკავშირებით გამოიწვია რუსების შემოდინება, მაგრამ... ეს ქართველების გადასაწყვეტია“, - აღნიშნა ევროკავშირის ელჩმა.

ამირან გურიელიძე

„რეფერენდუმის“ საპასუხოდ – სანქციების ახალი პაკეტი

დიდმა ბრიტანეთმა უკრაინაში რუსეთის მიერ გამართული უკანონო რეფერენდუმის საპასუხოდ სანქციების პაკეტი გამოაცხადა - 92 სანქციის სამიზნეს უკრაინის ოთხ რეგიონში ორგანიზებული ყალბი კენჭისყრის უკან მდგომი პირები წარმოადგენენ.

სანქციები ასევე შეეხებათ იმ პირებსაც, რომლებიც რუსეთის ომის მხარდაჭერას აგრძელებენ. ე. წ. რეფერენდუმის გამო სანქცირებულ 33 ოფიციალურ პირს შორის არიან: ხერსონის მთავრობის ახლახან დანიშნული მეთაური სერგეი ელისეიევი, ე. წ. ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ივან კუსოვი და რუსეთის მიერ ოკუპირებულ ზაპოროჟიეში მთავრობის სავარაუდო მეთაური ევგენი ბალიცკი. სანქციები დაუწესდათ ოლიგარქებსაც. „იარაღის ლულაზე ჩატარებული ყალბი რეფერენდუმები არ შეიძლება იყოს თავისუფალი ან სამართლიანი და ჩვენ არასოდეს ვაღიარებთ მათ შედეგებს“, - აღნიშნა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიმს კლევერლიმ.

ამირან გურიელიძე

„ვერასოდეს ვერაფერი შეცვლის მელნით გაჯერებული ფურცლის სუნს“...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ნამდვილი ტალანტია, ამ ჭაბუკს დიდი მომავალი აქვს - ასე განაცხადა ცნობილმა ლიტერატურისმცოდნემ და მწერალმა, მრავალი სახელოვანი მწერლის გზამკვლევმა მურად მთვარელიძემ, როცა ***ალექსანდრე (ლექსო) კაკიაშვილის*** *ნოველები წაიკითხა და ურჩია ავტორს, გამოსაქვეყნებლად ლიტერატურული გაზეთისთვის გაეგზავნა. ნოველები დაბეჭდეს და საქებარმა გამოხმაურებებმა ცხადყო ახალგაზრდა მწერლის წარმატებული სტარტი; ლექსომ მკითხველი მიიზიდა, დააინტერესა. ამ თავისთავადი, საკუთარი ხელწერის მქონე ავტორის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩენა სასიხარულო და იმედისმომცემია, ის წერს უშუალოდ და საინტერესოდ, გამოირჩევა ნათელი გონებითა და გულწრფელობით, რაც ამ ინტერვიუშიც კარგად ჩანს.*

- სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიქციეთ ყურადღება, საქებარი სიტყვები არ დაუშურებიათ... განსაკუთრებით ვის ემადლიერებით, როგორ მოხდა თქვენი კურთხევა მწერლად?

- პირველ რიგში, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ვმადლობ უფალს ყოველი იმ სიკეთისთვის, რაც მან ჩემზედ მოწყალებად გაიღო. რაც შეეხება მადლიერების საერო მხარეს, არ შემიძლია განსაკუთრებული მადლიერება არ გამოვთქვა ბატონ მურად მთვარელიძისადმი. სწორედ, მისი ადამიანური არსის, უშურველობის, გულის და სულისმიერი მიმღებლობის დამსახურებაა, რომ საკუთარ თავში რწმენა აღმოვაჩინე, რწმენა იმისა, რომ

პროზა-პოეზიის „მეტრთან“ და მისგან ყურადღებასა და გულითად დამოკიდებულებას გრძნობს. განა ეს არაა რწმენის საფუძველი? განა სხვა რწმუნებას საჭიროებს ჩემსავით უბრალოდ ფრაზის მკრებავი?... ამ ყველაფერმა კი განსაკუთრებული ძალა მომცა, რომ საკუთარი თავის მერწმუნა.

- ციფრულ ეპოქაში შეგვდივართ, იცვლება ძველი ცხოვრების წესი. ბევრისთვის ეს გადაწყობა მტკივნეულია. თქვენ, როგორც მწერალი, როგორ აღიქვამთ ამას და როგორია ტრანსფორმაციის თქვენეული გზა?

- რა დროც უნდა გავიდეს, რა პროგრესიც უნდა განავითაროს საზოგადოებამ, ვერასოდეს ვერაფერი შეცვლის მელნით გაჯერებული ფურცლის სუნს. ხელნაწერი და ხელით ქმნილი მუდამ დარჩება იმ ერთადერთ, უნიკალურ „ძეგლად“, რაც აუცილებლად გაუძლებს დროს, ეპოქას და განვითარების უჩვეულო რეგისტრსაც. რაც შეეხება წესის შეცვლას და გადაწყობას, მართალია, მტკივნეულია, მაგრამ გარდაუვალია. გარდაუვალობა კი არსიდან გამომდინარე, იძულებითი ქმედების ერთგვარი გამომხატველი ქმედებაა და გვსურს თუ არა, ვეგუებით კიდეც. შეუჩერებელი პროცესია და მისი უგულებელყოფა, ვთვლი, რომ არაგონივრული იქნება. „უბრალოდ, საჭიროა, ფეხი ავუწყოთ, მაგრამ ძველ ტაძარში კვლავ გვენთოს თუნდაც ერთი მარტოსული კანდელი.

- მთავარია სამი რამე ქვეყანაზე - სიყვარული, სიკეთე და სილამაზე... ამ აზრის თქვენეული ინტერპრეტაცია...

- უფალი, ადამიანური არსი და სისპეტაკე. უფლის გარეშე სიყვარულის ქმედითობა წარმოუდგენელია, რადგან თავად უფალია სიყვარული. თუ უფლისადმი რწმენა არ გაგაჩნია ადამიანს, არც „სიყვარულისა არა გესმის რა, რაც შეეხება ადამიანურ არსს, უფალმა ხატად თვისად შექმნა ადამიანი და უბოძა ის უნიკალური, უკვდავი, საუფლო მატერია, რასაც ჩვენ სულს ვეძახით და უწოდა მას ადამიანი. გამომდინარე აქედან, ადამიანური არსი თითოეულ ჩვენგანში პირველად ქმნილი სისპეტაკეა და მას ხელუხლებლად, შეუბღალავად მოვლა და პატრონობა სჭირდება. სამწუხაროდ, დღეს უკვე ეს იშვიათი მოვლენაა, რაზეც ძალიან მწყდება გული. ადამიანები დღითი დღე ივიწყებენ ადამიანურ არსს. ახლა კი სისპეტაკე... ის, რაც სპეტაკია, უპირობოდ ლამაზია!

- რა ელის ხვალ ანუ მომავალში ქვეყანას? როგორ ფიქრობთ, ახლა ეს ყველაზე მეტად ვის ადარდებს და საერთოდ, ვის უნდა ადარდებდეს და ზრუნავდეს ჩვენი უკეთესი მერმისისათვის?

- ამ ტემპით და ასე ერთმანეთის „კბენით“ შეპყრობილ ერსა თუ ბერს, ზოგადად, მომავალში რა ელის კი არა, მომავალი თუ ელის, ესაა საკითხავი. ქვეყნის მომავალს საზოგადოება უნდა ქმნიდეს და საზოგადოების ინტერესების გამტარებელი ხელისუფლება. მე თუ ჩემი შვილის მომავალი არ მადარდებს, თუნდაც ჩემი ერთი უმნიშვნელო ნოველაც კი ადამიანთათვის სულიერ ღირებულებას წარმოადგენდა. ასევე, იმ ადამიანებს მინდა გადავუხადო მადლობა, რომელთაც სჯეროდათ, სჯერათ და სწამთ ჩემი, როგორც ერთი რიგითი მწერლის. სწორედ რომ მათი დამსახურებაა ყოველივე ეს. ვისარგებლებ შემთხვევით, თქვენის ნებართვით და მადლობას გადავუხდი ხაშურის სახალხო თეატრის რეჟისორ გურამ კაპანაძეს ერთგული მეგობრობისთვის, სწორედ მან გამაცნო ბატონი მურადი.

- თქვენი შთაგონების მასაზრდოებელი წყარო?

- ადამიანები, მოვლენები. არ არის აუცილებელი რაიმე განსაკუთრებული მზაობა იმისთვის, რომ შთაგონება გეწვიოს. სრულიად სპონტანურად, შესაძლოა, ისეთ მოცემულობას წააწყდე ქუჩაში, რომ წარმოუდგენელ ირეალურ სამყაროში გამოგზაუროს. ასევე, წარსულის „სკივრში“ საგულდაგულოდ გადამალული მოგონებებიც განსაკუთრებული ინსპირაციის წყარო ხდება მწუხრის ჟამს.

- როცა ბავშვობას, განვლილ გზას გადახედავთ, მოგონებები ფერადია?

- ჩემი ბავშვობა, ისევე როგორც იმ დროს აღზრდილი ყველა ბავშვის, მძიმე გახლდათ. ომით, უპოვრობითა და უქონლობით გაჯერებული პერიოდი იყო, ამიტომ ბავშვობის მოგონებებს ფერები აკლდა. ვერ ვიტყვი, რომ უფერული იყო, მაგრამ იმას აუცილებლად დავსძენ, რომ როდესაც ბავშვობის მოგონებების ძველ, მტვრით დაფარულ „სკივრს“ მივადგები, განსაკუთრებული სითბო მეღვრება გულში. არ ვიცი, შესაძლოა, სწორედ ესაა ის ფერი, რომელიც ამ მოგონებებს აფერადებს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ განსაკუთრებული და ღირებულია.

- პირველად თქვენი ნაწარმოებები ბატონ მურად მთვარელიძეს მიუტანეთ დასაჭაშნიკებლად... ეს არჩევანი, ცხადია, შეგნებულად გააკეთეთ...

- კი. როგორც თავში აღვნიშნე, ჩემი მეგობრის დახმარებით, ბატონ მურადს ვეახლეთ. რაღა თქმა უნდა, ეს შეგნებული ნაბიჯი გახლდათ, რადგან ბატონი მურადი ჩემთვის პროფესიონალიზმის ის „მეტრია“, რომელიც თავად დრომ გამოაწრთო. მოდით, ამ ყოველივეს მეორე მხრიდან შევხედოთ. ჩემთვის, როგორც ახლად გაცნობილი ადამიანისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი და სულისმიერი ღირებულება მისი ადამიანობა, უშუალო და გულითადი დამოკიდებულება გახლდათ. განა ვინ ვიყავ, ან თუნდაც, ვარ?... ერთი უბრალო ფრაზის მკრებავი, რომელიც მიდის

> ***„უფალმა ხატად თვისად შექმნა ადამიანი და უბოძა ის უნიკალური, უკვდავი, საუფლო მატერია, რასაც ჩვენ სულს ვეძახით და უწოდა მას ადამიანი. გამომდინარე აქედან, ადამიანური არსი თითოეულ ჩვენგანში პირველად ქმნილი სისპეტაკეა და მას ხელუხლებლად, შეუბღალავად მოვლა და პატრონობა სჭირდება. სამწუხაროდ, დღეს უკვე ეს იშვიათი მოვლენაა, რაზეც ძალიან მწყდება გული. ადამიანები დღითი დღე ივიწყებენ ადამიანურ არსს. ახლა კი სისპეტაკე... ის რაც სპეტაკია, უპირობოდ ლამაზია!***

- ციფრული ეპოქა ადამიანისგან ბევრ ცვლილებას ითხოვს. ეს ცვლილება ბუნებრივი პროცესია, მაგრამ შეინიშნება უფროსი თაობისადმი უკმაყოფილება. ეს განწყობა ბევრს სწყინს...

- ჩემი აზრით, ეს ის კანონზომიერებაა, რომელიც ურღვევია. ჩნდება ახალი მისწრაფებები, რასაც დრო და მათ შორის, ტექნოლოგიური პროგრესიც ხელს უწყობს, ამიტომ ხშირად უკმაყოფილებას წარმოშობს. თუმცა, ერთადერთი, რაც სავალდებულოა ნებისმიერი თაობის წარმომადგენელთათვის, ეს პატივისცემაა! ეს უკანასკნელი კი აღზრდაზე მეტყველებს და არა გაზრდაზე! თუკი თაობა აღზრდილია, მაშინ პატივისცემა უფროსი თაობის მიმართ უპირობოდ ექნება და თუკი გაზრდილია თაობა, მაშინ პატივს მხოლოდ საკუთარ შეხედულებებს სცემს. ამ პრობლემის თავი და თავი, მაინც აღზრდაში მგონია.

- ჩვენი ტრადიციებიდან რა მიგაჩნიათ თანამედროვეობისათვის შეუფერებლად?

- ზოგადად, ტრადიციების მიმართ არცთუ სათანადოდ ვარ კეთილგანწყობილი. უამრავი ტრადიციაა, რომელიც დამახინჯებული სახითაა შემონახული, და არსებობს ისეთი ტრადიციებიც, რომელსაც, ჩემი ნება რომ იყოს, ჩანასახშივე აღვკვეთდი. ეს ტრადიციები, გარკვეულწილად ვნებს როგორც ადამიანს, ასევე საზოგადოებას. საშინელი ღრეობის ტრადიციები ავიღოთ, თანამედროვეობაში კი არა, წარსულშიც ზედმეტია, რომ გვაქვს. ავიღოთ მყოფადი ტრადიციები, თუნდაც გასვენების ან ქორწილის... აქაც უკიდეგანო ჭამა-სმამდე მივდივართ. განა ეს ნორმალურია? მე არ მომწონს მსგავსი ტრადიციები.

- სიცოცხლე მარადიული სისხლდენა იქნებოდა, რომ არ არსებულიყო ხელოვნება... ამ ფრთიან გამოთქმას თქვენ როგორ გაიაზრებთ?

- თავად „მოყვარული“ მსახიობი გახლავართ, მითამაშია როგორც თეატრში, ასევე კინოშიც. ხელოვნება რომ არა, სიცოცხლეც წარმოუდგენელი იქნებოდა. ყველაზე დიადი შემოქმედი თავად უფალია, მიმოიხედეთ გარშემო განა ეს ყოველივე დიადი შემოქმედის ხელოვნების ნიმუში არაა? და თუ ასეა, დასაბამიდან უფლის ხელით ქმნილ, ხელოვნების უზადო ნიმუშად წარმოდგენილ სამყაროში, უფლის ხატად ქმნილ ადამიანთ ძალუძთ ემსახურონ ამ დიად მონაპოვარს. მე ჩემი მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში იმ ურიცხვ მეომართაგანი ვიქნები, რომელნიც მუდამ იბრძვიან ამ საგანძურის დასაცავად. თუკი ადამიანს ხელოვნებისადმი პატივისცემა არ გააჩნია, ვერც სიკეთის მარცვალი აღმოუცენდება გულში. ცოტა თემიდანაც გადავუხვევ, თუმცა, ზომიერად. როდესაც ვწერ, წერის პროცესში გარკვეულ როლს თამაშობს მუსიკა, ყლერადობა, რომელიც წერისას თემატიკის შესაბამისია და ეს ერთგვარი ბერკეტია ჩემთვის, რათა ჩემს ნოველებს, მოთხრობებს სულ სხვა ფერი შევსძინო.

- წიგნი, რომელიც გამორჩეულად გიყვართ და რატომ?

- ბევრი წიგნია ასეთი, მაგრამ მაინც ჩვენს, ქართველ მწერლებს მივანიჭებდი უპირატესობას. მიკერძოებული ვიქნები ამ კუთხით და ჩვენს ხასიათს, ჩვენი ერის ნიშას რაც უკეთ წარმოადგენს, ის მირჩევნია. მაგალითად რომ მოვიყვანო, ბავშვობაში ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონს“ შევეჭიდე. თითქმის კვირა ვიკითხე, მაგრამ ვერა გავუგე რა და დედის რჩევით, ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ წავიკითხე. ჩემს მოკრძალებულ ახსნასაც არ საჭიროებს ამ სულმნათი ადამიანის შემოქმედება... მაგრამ თუკი მეორე გამორჩეულ წიგნს ვიგულისხმებ, მაშინ დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“ უპირობოა. ამ წიგნმა განსაკუთრებულ სამყაროში მამოგზაურა, სამყაროში, სადაც სევდა დიდებულობდა და მისი სიდიადე იმდენად ჩემეული იყო, რომ ასე მგონია, რეალურ ცხოვრებაშიც კი ამიხდა.

- ყველაზე მეტად რა კითხვა უნდა დაუსვას ადამიანმა თავსაც და სხვასაც?

- ბედნიერი ხარ?

- დაბოლოს?...

- დაბოლოს, მინდა თქვენს მკითხველს მივესალმო, მადლობა გადავუხადო, რომ მათი ცხოვრების რამდენიმე წამი დამითმეს. უფალს ვებარებოდეთ.

საქართველო-იტალიას შორის სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა

საქსტატის მონაცემებით, წელს 8 თვეში იტალიაში ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა 34,761 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში - 22,805 მლნ აშშ დოლარი). ამა წლის იანვარ-აგვისტოში საქართველომ იტალიაში 174,143 მლნ აშშ დოლარის პროდუქტი შეიძინა (გასული წლის იგივე პერიოდში - 164,842 მლნ აშშ დოლარის).

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ ტოპ-10 პროდუქტს, რომლებიც წელს 8 თვეში **საქართველოდან იტალიაში გავიდა:**

ფეროშენადნობები - 15,698 მლნ აშშ დოლარი;

თხილი და სხვა კაკალი - 10,686 მლნ აშშ დოლარი;

მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, უნაკერო, შავი ლითონისგან - 1,545 მლნ აშშ დოლარი;

ხე-ტყის მასალა, გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, სისქით 6 მმ-ზე მეტი - 1,356 მლნ აშშ დოლარი;

ნარჩენები და ჯართი ძვირფასი ლითონების ან ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონების - 1,261 მლნ აშშ დოლარი;

აპარატურა სადღეღამისო დროის სარეგისტრაციოდ და დროის ინტერვალების ინდიკაციისთვის - 711,1 ათასი აშშ დოლარი;

ნაყოფი და მცენარის სხვა ნაწილები, სხვა წესით დამზადებული ან დაკონსერვებული - 359,2 ათასი აშშ დოლარი;

პალტოები, ლაბადები და ანალოგიური ნაწარმი, ტრიკოტაჟისა, ქალის ან გოგონასი - 352,9 ათასი აშშ დოლარი;

კოსტიუმები, კომპლექტები, კომბინეზონები, ბრიჯები და შორტები, ქალის ან გოგონასი - 350,1 ათასი აშშ დოლარი;

კოსტუმები, კომპლექტები და სხვა მამაკაცისა ან ბიჭის - 346,3 ათასი აშშ დოლარი.

ტოპ-10 პროდუქტი, რომლებიც ამა წლის 8 თვეში **საქართველოში იტალიიდან შემოვიდა:**

სამკურნალო საშუალებები დაფასოებული - 7,030 მლნ აშშ დოლარი;

სხვა ცოცხალი მცენარეები, კალმები და გადანაწვენები; სოკოს მიცელიუმი - 5,491 მლნ აშშ დოლარი;

ავეჯი სხვა და მისი ნაწილები - 4,598 მლნ აშშ დოლარი;

მაცივრები, საყინულეები და სხვა სამაცივრო ან საყინულე მოწყობილობები - 4,379 მლნ აშშ დოლარი;

ონკანები, სარქველები და ანალოგიური არმატურა მილგაყვანილობების, საქვაბეების - 4,181 მლნ აშშ დოლარი;

მექანიკური მოწყობილობები სითხეების ან ფხვნილების გაშხეფვის ან გაფრქვევისთვის - 3,911 მლნ აშშ დოლარი;

ცენტრალური გათბობის ქვაბები - 3,684 მლნ აშშ დოლარი;

ფეხსაცმელი რეზინის, პოლიმერული მასალის, ტყავის ძირითა და ტყავის ზედაპირით - 3,674 მლნ აშშ დოლარი;

სატვირთო ავტომობილები - 3,330 მლნ აშშ დოლარი;

საშუალებები თმებისთვის - 2,987 მლნ აშშ დოლარი.

ამირან გურიელიძე

«ზე-კართან» მონაწილენი - რამაზ სურმანიძისა და ტარიელ ფუტკარაძის სოფლებში

ასეთი მასშტაბურობა, საზოგადოების მხარდაჭერა 10 წლის ფესტივალს «ზე-კართან»« არ ახსოვს. მეორე დღეს ცნობილი მეცნიერის, მწერლის, საზოგადო მოღვაწის რამაზ (ანდრია) სურმანიძის მშობლიური სოფელი ჭალა იყო ფესტივალის მონაწილეთა მასპინძელი

- უკვე სტაჟიანი «ზე-კარელი» ვარ, - გვითხრა პოეტმა ნინო მოდრეკილაძემ, - ინიციატორ ვახტანგ ბერიძის ჩართულობით მრავალი სოფელი, ისტორიული ადგილი, ღირსშესანიშნაობა შემოვიარე. აჭარის მთიანეთის, მისი სოფლების სტუმართმოყვარე ადამიანები დავიმეგობრე. წუთისოფელში აღარ არის ფესტივალის მონაწილე 10-მდე სახელოვანი მწერალი. ისინიც ჩემსავით აღტაცებას ვერ ფარავდნენ გოდერძის ალპური ბაღის, სხალთის ტაძრის, ოთოლთას ციხის, ხაბელაშვილების მრავალსაუკუნოვანი ხის ხიდის, სოფლების - ცინარეთის, დღვანის, ნიგაზეულის, ფურტიოს მონახულების შემდეგ. თუმცა კიდევ ყოფილა სოფლები და, მათ შორის, რამაზ სურმანიძის მასაზრდოებელი, მისთვის ყველაზე საყვარელი სოფელი ჭალა. მშვენიერი, ბუნებაში ჩაძირულ-ჩაგვირისტებული სოფლები დიდი ადამიანების გამზრდელნი და წარმომჩენნი რომ არიან, აქ კიდევ ერთხელ დადასტურდა.

ჭალის საჯარო სკოლის სპორტული მოედანი იყო ფესტივალის «ზე-კართან» მონაწილეთა შეკრების ადგილი. ფესტივალის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი რეჟისორი ვახტანგ ბერიძე ღია ცის ქვეშ შეკრებილებს რამაზ სურმანიძისა და სოფელ ჭალის შესახებ ესაუბრა.

სიტყვით გამოვიდა შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე.

უკვე მეზობლები კი არა, ერთმანეთზე გადაბმული სოფლებია ჭალა და წყაროთა. ჭალას თუ რამაზ სურმანიძე ჰყავდა, წყაროთას პოეტი ვახტანგ გოგრაჭაძე ალამაზებს. მან კარგად იცის მეზობელი სოფლის ღირსეული მკვიდრის რამაზ სურმანიძის დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე, პიროვნებისა, რომელიც 77 წიგნის ავტორი იყო. პროფესიით ექიმი, თითქმის 60 წლის განმავლობაში პროფესიულ მოვალეობას აქტიურად უხამებდა სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მშობლიური შუახევის რაიონის წარგზავნილმა, დამოუკიდებელი საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეულმა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს. ფრიდონ ხალვაშთან, ზურაბ გორგილაძესთან, შოთა ზოიძესთან, აჭარაში მოღვაწე ხელოვანებთან ერთად ეფერებოდა ამ კუთხეში შემონახულ ქართულ ენას და დაბრუნებულ მრწამსს. შემოქმედებითი საქმიანობის ბოლო წლები ბერად აღკვეცილმა გაატარა.

თანასოფლელის დამსახურებაზე ისაუბრეს, მისდამი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ჭალელმა პოეტმა შოთა დიასამიძემ, რამაზის ძმისშვილმა მაია სურმანიძემ, ჭალის საჯარო სკოლის დირექტორმა ალექსანდრე შარაშიძემ.

თანამედროვე ქართული პოეზიის ღირსშესანიშნავი წარმომადგენლების - გიორგი მახარობლიძის, ლაშა გახარიას, ზურაბ გორგილაძის დამსახურება მიმოიხილეს გორელმა პოეტმა, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა გიორგი ხორბალაძემ, ოდიშის მკვიდრმა ნიკა ლაშხიამ, ბათუმელმა პოეტმა, მრავალი წამოწყების ინიციატორმა ბელა ქებურიამ.

- უკვე სამი წიგნის ავტორი ვარ. მათგან ორი პროზაულია. მშობლიურ ხეობაში ასეთი ღონისძიების მომსწრე პირველად ვარ. ეს არაა ვინმეს საამებლად ან თავის გამოსაჩენად წამოწყებული ფესტივალი. იგი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ და მომუშავე შემოქმედებით მუშაკებს გვაახლოებს, ერთმანეთის შემოქმედებას გვაცნობს, - გვითხრა ჭვანელმა დავით ქათამაძემ, რომლის ლექსი მარიამ ქათამაძემ წაიკითხა.

ფესტივალის ყურადღების არეალში უკრაინაში მიმდინარე პროცესები მოექცა. ფესტივალის ორგანიზატორებმა პროგრამაში წელს პირველად შემოიტანეს «ომისა და შვიდობის» თემატიკა. სოფელ ჭალაში გამართულ შეხვედრაზე საზოგადოების წინაშე ლექციით «ომის აღქმა ლიტერატურაში» წარსდგა პროფესორი ზაალ ჩხეიძე.

- აქ ნათქვამი სიტყვა, წაკითხული ლექსი თითოეული ჩვენგანის მეხსიერებაში კეთილ მოგონებად დარჩება. სასიხარულო და საამაყოა, რომ ქართულ სიტყვას, ქართულ ლექსს, ქართულ პროზას, ეროვნულ მეცნიერებას ღირსეული თაობა ჰყავს. მრავლის მომსწრე და მნახველი დღესაც გამახარეს, - გვითხრა ალექსანდრე შარაშიძემ.

ღია ცის ქვეშ დაწყებული ღონისძიება ჭალაში გამართულ სამეგობრო სუფრასთან გაგრძელდა, რომელმაც კიდევ უფრო დააახლოვა სტუმარ-მასპინძელი.

ფესტივალის მონაწილეთაგან ცნობილი მწერლები როსტომ ჩხეიძე, ეკატერინე ტოგონიძე, გამომცემლობა «არტანუჯისა» და «ინტელექტის» დირექტორი, მწერალი ზვიად კვარაცხელია ხულოში იყვნენ. რაიონული ბიბლიოთეკის დარბაზში ქვეპროგრამის «ომგამოვლილები და ომგამოუვლელები» მიხედვით, საზოგადოების წინაშე წარსდგნენ. აქვე შედგა ეკატერინე ტოგონიძის წიგნის «შენ შინ» განხილვა.

წელს ზაფხულში სამზეოზე გამოვიდა ეთერ დეკანაძის წიგნი «მოგონებები გარდასულ დღეთა», მისი საჯარო განხილვა მწერალთა სახლში გაიმართა. აჭარელი მწერლების თავაკცმა დავით თედორაძემ განსაკუთრებული ყურადღება ეთერ დეკანაძისა და ჟურნალისტ, პუბლიცისტ ელგუჯა ლებანიძის მეგობრობაზე გაამახვილა, რაც წიგნში შეტანილი მასალითაც დასტურდება. წლევანდელი ფესტივალის მონაწილეა ელგუჯას ქალიშვილი, რამდენიმე რომანის ავტორი, პროფესიით ჟურნალისტი შორენა ლებანიძე. ხულოს სახელმწიფო პროფესიული თეატრის დარბაზში რეჟისორ ბესო სოლომონაშვილის ფილმის «ბოსტანი კონფლიქტის ზონაში» ჩვენება გაიმართა.

მარეთის ხეობის შორეული უბანი - საფუტკრეთი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერის, ცნობილი ქართველოლოგის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ადგილის დედაა.

- ეს ტერიტორია ფესტივალის მონაწილეთა უსაყვარლეს ადგილად იქცა. მამა და ბატონი ტარიელი უახლოესი მეგობრები იყვნენ. აქ ფესტივალის ორგანიზატორებმა ვახტანგ ბერიძემ და ია თავართქილაძემ ყაბალახი შემომახვიეს. აქ შემომეგებნენ ბატონი ტარიელის დედა ნათელა ვაშაყმაძე-ფუტკარაძე და მეუღლე ია ვაშაკიძე. ერთი წლის განმავლობაში ბევრი არაფერი შეცვლილა, - გვითხრა პოეტმა გიორგი არაბულმა.

ფესტივალის მონაწილეებს მიეგებნენ ტარიელის დედა, ძმები ავთანდილ და ფრიდონ ფუტკარაძეები, ვეტერანი პედაგოგი, მარეთის ხეობაში ცნობილი მასწავლებელი და სკოლის დირექტორი იოსებ აბაშიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, მერის მოადგილეები გურამ ზოიძე, რუსუდან შავაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ფრიდონ ფუტკარაძე, ტარიელის ახლობლები, მეგობრები და მეზობლები.

ფესტივალის მონაწილეებმა ტარიელის სახლ-მუზეუმი დაათვალიერეს.

- ეს მშვენიერი ბუნება, ცად აზიდული მთები, აღმოსავლეთით გადმომდგარი გოგლაურას ციხის ნაშთები, ხევში მომდინარე ჩირუხისწყალი, მის ორივე მხარეს - ფერდობებზე შეფენილი სოფლები მრავლისმთქმელია. მაოცებს აქაურების შრომისმოყვარეობა. თვალს არ გამოპარვია ხეხილის დახუნძლული ბაღები, სიმინდის ყანებში ჩამდგარი ზვინები, - გვითხრა მაკო ჯაოშვილმა, რომელიც ფესტივალს პირველად ესწრებოდა.

ტარიელ ფუტკარაძის ეზოში ქართული სიტყვის, ქართული ლექსის ზეიმი გაიმართა. ვახტანგ ბერიძის შემდეგ მონაწილეებს ომარ ტაკიძე მიესალმა.

შორენა ლებანიძემ თავისი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მწერლობაში. დოკუმენტური რომანების ავტორი, აფხაზეთის ომის უშუალო მონაწილე და ჟამთააღმწერი იყო. მისი რომანი «მანანა ანუა - ორმოცდათორმეტი დღე ტყვეობაში» ამ მოვლენების შეფასებაა ფესტივალის მონაწილეთა წინაშე იგი საჯარო ლექციით «ომი და მწერალი» წარსდგა.

- კარგად მახსოვს ტარიელის ბებუა ნური ფუტკარაძე. თითქმის თანატოლები და კარგი მეგობრები ვიყავით მამამისი აღექსანდრე და მე. ეს ურთიერთობები გააგრძელა ტარიელმა, რომელიც ნაადრევად აღესრულა. მიხარია, რომ დღეს აქ ტარიელის საქმე და სახელი გაგრძელეს ქართული სიტყვის ისეთმა ოსტატებმა, როგორებიც ბექა დანელია, როსტომ ჩხეიძე, ბელა ქებურია, ნინო მოდრეკილაძე არიან. ცრემლი ვერ შევიკავე, როცა შორენა ლებანიძის ლექცია მოვისმინე, - გვითხრა იოსებ აბაშიძემ.

ომის თემა აქაც გაგრძელდა. თავისი ლექციით ფესტივალის მონაწილენი დაატყვევა პროფესორმა ზაალ ჩხეიძემ. მან და ბექა ადამაშვილმა ლიტერატურაზე ისაუბრეს.

გამომცემლობა «ინტელექტისა» და «არტანუჯის» დირექტორმა, მწერალმა ზვიად კვარაცხელიამ, ცნობილმა მწერალმა, ასევე ცნობილი მწერლის ოთარ ჩხეიძის შვილმა როსტომ ჩხეიძემ, მთარგმნელმა გვანცა ჯობავამ თარგმნით საქმიანობაზე ილაპარაკეს, ივანე მაჩაბლით დაწყებული, ყველა ის გამომცემელი გაიხსენეს, ვინც მკითხველს მსოფლიოში ცნობილი მწერლების, პოეტების, განსაკუთრებით ნობელის პრემიების ლაურეატის ნაწარმოებებს აცნობენ.

«ცხოვრება, როგორც პერფორმანსი» - ასეა დასათაურებული მაკო ჯაოშვილის წიგნი. მისი წიგნი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ნააზრევია. სპეციალობით ბიოლოგმა, პროფესიაც შეიცვალა და ცხოვრების წესიც. თვითგანვითარების სურვილმა დაანახა, რომ წინსვლა საჭიროებს გულმოდგინებას. ასეთ თემაზე დაწერა მეცნიერული ნაშრომიც.

- განსაკუთრებული მადლობა «სამთა კავშირად» წოდებულ ჩემს შვილებს: თათას, ანის და ლადოს, რომლებთან ერთად დღესაც ვიზრდები და კიდევ ბევრ რამეს ვსწავლობ. ასევე, საოცარ გოგონებს, ჩემს გულისგულებს: ბარბარეს, ქეთოსა და ელენეს, ვისთვისაც ღირს, შემართებით განვაგრძო გზა ახალი ბილიკების დასალაშქრად», - წერს მაკო თავის წიგნში. მისი ლექცია სიამოვნებით მოისმინეს შეკრებილებმა.

ახმიანებულმა ქართულმა ლექსმა გაათბო და გაახალისა ფესტივალის მონაწილეები. სახელდახელო სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ნინო მოდრეკილაძე, ქეთი ჯოლბორდი, გიორგი არაბული, ნიკა ლაშხია, ბექა ადამაშვილი, ირმა ტაველიძე, თეკლა ქველაძე, მიხეილ გელაძე, რატი მუჯირი.

ჟურნალი «ზღვაური», მისი დაარსების ისტორია, აქ დაბეჭდილი ავტორების ლექსები იყო პოეტ ბელა ქებურიას გამოსვლის თემა. შემოდგომის ერთი დღე ქართული სიტყვის მოფერებაში გაილია. შეკრებილთ ტარიელ ფუტკარაძის უმცროსმა ძმამ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ფრიდონ ფუტკარაძემ მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

ქართული სიტყვა, ლექსი, იუმორი ზეობდა სუფრასთანაც, რომელიც ეზოში სახელდახელოდ გაიშალა.

ფესტივალის დასკვნით დღეს ხულომ უმასპინძლა. დრამატული თეატრის ეზოში რატი მუჯირმა წაიკითხა საჯარო ლექცია «ომში მუზები არ დუმან». საინტერესო იყო თემა «ქალი მწერლების მარათონი». დამსწრეთა წინაშე წარსდგნენ: შორენა ლებანიძე, ირმა ტაველიძე, ბელა ქებურია, ლიკა ჭელიძე, ქეთი ჯოლბორდი, ნინო მოდრეკილაძე, რუსკა ჟორჟოლიანი.

ფესტივალი დაიხურა

«ომისა და მშვიდობის» თემა ხულოშიც გაგრძელდა. საზოგადოების წინაშე საინტერესო ლექციით წარსდგა რატი მუჯირი. იგი ორი წიგნის ავტორია და ორივე ომზეა დაწერილი

«ქალები, ომი და ლიტერატურა» - ამ თემის მედიატორობა გვანცა ჯობავამ ითავა. საინტერესო იყო შორენა ლებანიძის, ბელა ქებურიას, ირმა ტაველიძის, ნინო მოდრეკილაძის, ქეთი ჯოლბორდის, ლიკა ჭელიძის, გიორგი ხორბალაძის, გიორგი არაბულის, ნიკა ლაშხიას, ბათუ დანელიას, მიხეილ გელაძის გამოსვლები.

ფესტივალის მონაწილეებს მიესალმნენ ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ფრიდონ ფუტკარაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე.

დასკვნით ნაწილში ფესტივალის მონაწილეთა წინაშე მხატვრული ნომრებით წარსდგნენ ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი «ბერმუხა», ფოლკლორული ანსამბლი «ხულო», სახელოვნებო სკოლასთან არსებული ანსამბლი «ციცინათელა» და აჭარის ხელოვნების სკოლასთან არსებული ანსამბლი.

მეათე საიუბილეო ფესტივალზე ყაბალახები მოირგეს მწერალმა ეკატერინე ტოგონიძემ და გამომცემლობა «ინტელექტისა» და «არტანუჯის» დირექტორმა, მწერალმა ზვიად კვარაცხელიამ.

გაზეთ «აჭარის» ჟურნალისტს ოთარ ცინარიძეს ფესტივალის ორგანიზატორმა ვახტანგ ბერიძემ მადლობის ბარათი გადასცა «საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის «ზე-კართან» გაშუქებისთვის».

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია «ბერმელი» კვლავ რჩება ფესტივალის აქტიურ მხარდამჭერად. მისმა დირექტორმა ეთერ ბერიძემ ორგანიზატორ ვახტანგ ბერიძეს ფესტივალის ოქროს ლოგო გადასცა.

ღონისძიება ანსამბლმა «ხულომ» «მრავალჟამიერით» დახურა.

- მეათე საიუბილეო ლიტერატურული ფესტივალი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ, - ოთხი დღის განმავლობაში 25 მონაწილე აჭარის მთიანეთის ღირსშესანიშნაობებს ეცნობოდა. დაიბადა მრავალი ახალი ლექსი, პროზაული ნაწარმოები. დიდი იყო ადგილობრივი მოსახლეობის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტების მერიების, კულტურის ცენტრების, სასტუმრო «შატოჩაოს» ხელმძღვანელ თამაზ მახარაძის თანადგომა.

გუშინ ფესტივალის მონაწილენი აჭარის მთიანეთს გამოემშვიდობნენ და, გოდერძის უღელტეხილის გავლით, თბილისსა და სხვა რეგიონებში დაბრუნდნენ.

წლევანდელი ფესტივალი «ინტელექტისა» და «არტანუჯის» მიერ გამოცემული წიგნების გამოფენა-გაყიდვითაც დასამახსოვრებელი იყო. 500-ზე მეტი წიგნი გაიყიდა. მათი ავტორები და მთარგმნელები, მეტწილად, ფესტივალის მონაწილენი იყვნენ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა „მე“ არსებობს“

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელოვნება, უდავოდ, არის ადამიანის ბედნიერების ერთ-ერთი ყველაზე სუფთა და უმაღლესი ელემენტი. ჩვენი დღევანდელი სტუმრებისთვის ის არის საშუალება, აისრულონ ცხოვრების სანუკვარი ოცნება

ჩვენს რესპონდენტებს აერთიანებთ ხელოვნებისადმი სიყვარული, რომელიც აძლევთ საშუალებას, იყვნენ თავისუფლები, ლაღები, ფერადები...

ნათია კიკნაძე:

- პროფესიით ტანსაცმლის დიზაინერი ვარ, განათლება გერმანიაში, სამხატვრო აკადემიაში მივიღე, სადაც თავისუფალი მხატვრობის განხრით ვსწავლობდი. ხატვა ჩემი სულის გამოძახილია. დავიწყე მაშინ, როცა პირველად დავინახე სახატავი საშუალებები, ალბათ, ორი წლიდან. დედა მომიყვა, რომ ერთ დღეს, როცა სახლში მარტონი ვიყავით, წიგნზე დამიხატავს ადამიანი. ისეთი ნახატი ყოფილა, დედას უფიქრია, კიდევ ვიღაც არის სახლშიო. გაოცებულა, თვალებს არ უჯერებდა... ნიჭი მამისგან გამომყვა. იგი ძალიან კარგად ხატავს. ჩემი საყვარელი პერიოდები იყო ყოველი წლის ბოლო ზარი, რადგან ამ დროს ჩემთან ამოჰქონდათ მოსახატად გოგოებს წინსაფრები, ბიჭებს - პერანგები. მთელი ღამე ვხატავდი, დილისთვის რომ მომესწრო. ვხატავ აკრილით, ხან ზეთით. ხატვის პროცესი აკრილში უფრო ადვილია, მაგრამ ზეთით შესრულებული ნამუშევრები უფრო მომწონს. ვხატავ მხოლოდ მაშინ, როცა მარტო ვარ. თუ მუსიკას ჩავრთავ, აუცილებლად - კლასიკას, თუმცა მუსიკის გარეშეც კომფორტულად ვგრძნობ თავს ხატვისას. ყოველთვის მიჭირდა ნახატებთან განშორება, თუმცა გამიჩუქებია და შემდეგ ისე მომნატრებია, მივხვდი, ეს აღარ უნდა გამეკეთებინა. ახლა ვცდილობ, შევიცვალო ეს დამოკიდებულება. ვეჩვევი იმასაც, რომ ჩემი ნიჭით მივიღო შემოსავალი. ზოგადად, ხელოვნება არის ის, რისგანაც ჩვენი ცხოვრება შედგება - თითქმის ყველაფერი, რაც ჩვენ ირგვლივაა, ხელოვნების ნიმუშია, რადგან ამ ნივთების გარეშე კომფორტი და ცხოვრება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, წარმოუდგენელია, ხელოვნება არ იყოს ცხოვრების განუყოფელი ნაწილი.

თათია კალანდაძე:

- გადატვირთული გრაფიკის გამო (უნივერსიტეტი, სამსახური) არასდროს მქონდა დრო, რომ სხვა საქმისთვის მომეკიდა ხელი, თუმცა ინტერესი სულ მქონდა. ამ ბოლო დროს ბევრი თავისუფალი დრო გამომიჩნდა. სახლში აღმოჩენილი ძველი ნივთებისგან დავიწყე სათამაშოებისა და სუვენირების დამზადება. პირველივე ნამუშევარმა ირგვლივ მყოფთა დიდი მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასიხარულო იყო ჩემი შშმ ძმის, გიოს კომპლიმენტი. ერთად შევქმენით რამდენიმე სახალისო ნივთი როგორც ქსოვილისგან, ასევე ხისგან. ინტერესი მაქვს, რომ საქმიანობა დავხვეწო და გამოფენა-გაყიდვა მოვაწყო. ამ ეტაპზე ამის სახსრები არ გამაჩნია, მაგრამ იდეის განხორციელება პერსპექტივაში მაქვს. ახლა მხოლოდ ახლო მეგობრებს და ოჯახის წევრებს ვახალისებ. ყველაზე დიდ სტიმულს ოჯახის წევრები მაძლევენ. თვლიან, რომ ეს ყველაფერი კარგად გამომდის და გვერდით მიდგანან. სწორედ ამიტომ ვაპირებ ამ სფეროში გაზრდას.

ნათია მჭედლიშვილი:

- პირველი სტიმული იმისა, რომ რაღაც გამეკეთებინა, მაშინ გაჩნდა, როცა სკოლაში ბავშვებს საკლასო ოთახის გაფორმებაში დავეხმარე. საკუთარ თავზე ავიღე ეს საქმე და ძალიან მომიწონეს კიდეც. რაც შეეხება სამკაულებს, თავიდან ერთი გავაკეთე, მერე - მეორე... ყველაფერი იწყება იდეით. წარმოვიდგენ და როცა დავრწმუნდები, რომ ლამაზი გამოვა, მაშინ ვიწყებ ფორმების ხატვას. მერე იწყება ყველაზე რთული, რაც გულისხმობს ფორმების, მძივებისა და ფერების ერთმანეთთან შეხამებას. ყველაზე დიდი დრო ამას მიაქვს. ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესია, რომ არასოდეს დავნებდეთ. მერე რა, თუ პირველ ჯერზე არ გამოგვივა, ისეთი არ იქნება, როგორიც ჩავიფიქრეთ. ეს არაა მიზეზი, რომ მეორედ, მესამედ აღარ ვცადოთ. მგონია, ეს ცხოვრების მთავარი პრინციპი უფროა, ვიდრე რაიმე კონკრეტული ხელსაქმისადმი მიდგომა. საკუთარი „მეს“ პოვნა არაა ადვილი, ეს „მე“ შეიძლება რამდენიმეც იყოს. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა „მე“ არსებობს თავისი არსით, მიზნებით და მისწრაფებებით, მთავარი კი ძიების პროცესია და არა პოვნა. ძალიან ბევრი რამის აღმოჩენაა შესაძლებელი პროცესში და დაბრკოლების გადალახვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად დაბრკოლება.

ნაია გვიმრაძე:

- ბავშვობიდან ვქსოვდი და ვქარგავდი, მაგრამ ამ სფეროში თავი რამდენიმე წელია, რაც საბოლოოდ ვიპოვე. ხელსაქმე ბავშვობიდან მიტაცებდა, თუმცა ლენტებით ქარგვა 5 წელია, რაც დავიწყე. პირველი ნამუშევარი „იასამანი“ იყო, რომელიც ძალიან მიყვარს. ზოგადად, ვქარგავ სურათებს, ჩემი შემოქმედებიდან ყველაზე დიდი მოთხოვნა კი იასამნებზეა. ხშირად მეუბნებიან, რომ ის ნამდვილს ჰგავს. ეს ძალიან მახარებს, რადგან თითოეულში მთელ ჩემს სულსა და გულს ვდებ. ჩემი ძირითადი სამუშაო მასალაა ატლასის ლენტები და შუშის ქვები. ძნელად ვიმეტებ ნაქარგებს საჩუქრად. თუ მაინც ვუსახსოვრე ვინმეს, ესე იგი ის ადამიანი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ნამუშევრებს ვიმეტებ მხოლოდ მათთვის, ვინც ძალიან მიყვარს. ჩემი აზრით, ხელოვნება ადამიანის წარმოსახვის ფიზიკური გამოხატულებაა, რომელსაც მიეკუთვნება ყველაფერი, რაც არაბუნებრივი წარმოშობისაა, შექმნილია ავტორის, ხელოვანის მიერ.

უკრაინა

ომის დაწყებიდან დღემდე, უკრაინული ძალების მიერ რუსეთის 57 200 ჯარისკაცია ლიკვიდირებული, - ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. უკრაინაში შეჭრის დღიდან რუსების საერთო დანაკარგებია: 2290 ტანკი, 4857 ჯავშანტექნიკა, 1369 ერთეული საარტილერიო სისტემა, 330 ერთეულ მრავალჯერადი სარაკეტო სისტემა, 172 ერთეული საჰაერო თავდაცვის სისტემა, 260 საბრძოლო თვითმფრინავი, 224 ვერტმფრენი, 970 ერთეული ოპერატიულ-ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატი, 15 გემი/ნავი, 3711 სხვადასხვა ავტომობილი და ტანკერი, 131 ერთეული სპეცტექნიკა და 241 ფრთოსანი რაკეტა.

* * *

უკრაინამ ამერიკული NASAMS-ის საჰაერო თავდაცვის სისტემები მიიღო, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ CBS-თან ინტერვიუში განაცხადა. მან აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენსა და კონგრესს მადლობა გადაუხადა დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის, თუმცა აღნიშნა, რომ ამ სისტემების რაოდენობა არ არის საკმარისი, რომ ქვეყანამ სამოქალაქო ინფრასტრუქტურა, სკოლები, საავადმყოფოები, უნივერსიტეტები, სახლები დაიცვას. „ჩვენ მივიღეთ NASAMS-ი. ჩვენ გვჭირდება უსაფრთხოება, რათა მოვიზიდოთ უკრაინელები სახლში დაბრუნებისთვის. თუ უსაფრთხოება იქნება, ჩამოვლენ, დასახლდებიან, აქ იმუშავებენ და გადასახადებს გადიხდიან, მაშინ ბიუჯეტში ხუთი მილიარდი დოლარის დეფიციტი არ გვექნება. ეს ყველასთვის პოზიტიური იქნება“, - აღნიშნა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა შეკითხვას - არის თუ არა შეერთებული შტატები კრემლთან კომუნიკაციაში ბირთვული ომის მუქარებთან დაკავშირებით, უპასუხა: „ორიენტირებული ვართ იმაზე, რომ ყველანი მოვიქცეთ პასუხისმგებლობით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ამგვარ უპასუხისმგებლო რიტორიკას, ჩვენ ძალიან მკაფიოდ ვაცხადებთ რუსებთან როგორც საჯაროდ, ისე პირადად, რომ შეაჩერონ ბირთვული იარაღის შესახებ უპასუხისმგებლო საუბარი, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსკოვმა გაიგოს ჩვენგან და იცოდეს, რომ შედეგები იქნება საშინელი“, - აღნიშნა ბლინკენმა. მან არ ისაუბრა დეტალებზე, თუ როგორ უპასუხებს აშშ ბირთვული იარაღის გამოყენებას, თუმცა აღნიშნა, რომ ბაიდენის ადმინისტრაციას გარკვეული გეგმა აქვს. კითხვაზე, არსებობს თუ არა გეგმა, რომელიც ხელს შეუშლის მესამე მსოფლიო ომს, ენტონი ბლინკენმა უპასუხა: „პრეზიდენტი ბაიდენი მოწოდებულია, ყველაფერი გავაკეთოთ, რომ დავეხმაროთ უკრაინელებს დაიცვან თავი, ისევე, როგორც ვაკეთებთ ყველაფერს, რომ შევკრიბოთ სხვა ქვეყნები რუსეთზე ზეწოლის მიზნით, ჩვენ მოწოდებული ვართ, რომ ეს ომი არ გაფართოვდეს“, - განმარტა ბლინკენმა.

* * *

უკრაინის ხელისუფლებამ მოუწოდა ისრაელს, მეტი გააკეთოს უკრაინის რუსული აგრესიისგან დასაცავად. უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელმა ანდრეი ერმაკმა „ისრაელ ჰაიომისთვის“ დაწერილ სტატიაში აღნიშნა, რომ „დროა ისრაელმა დაამტკიცოს თვითრეფლექსია და გაწყვიტოს კავშირი ბოროტ და ბარბაროსულ რუსულ სახელმწიფოსთან“. „რუსული პროპაგანდითა და დეზინფორმაციით გაჯერებულ მსოფლიოში, არსებობს რამდენიმე უდავო ჭეშმარიტება. მაგრამ ერთი რამ ცხადია. ისრაელი და უკრაინა ერთსა და იმავე ომს ებრძვიან, ომს ტერორისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ხალხის მოსპობას. ჩვენს განსაცდელში, უკრაინა საჭიროებს ერთგულ მოკავშირეებს, რომლებსაც შეუძლიათ და სურთ ჩვენი ტვირთის გაზიარება. ჩვენ მოვუწოდებთ ისრაელს, დაფიქრდეს და აირჩიოს მეტის გაკეთება, რათა დაეხმაროს უკრაინას ჩვენი ცხოვრების წესისა და თავად ცხოვრების დაცვაში“, - აღნიშნა ერმაკმა.

* * *

რუსეთს ტყვეობაში 2500 უკრაინელი, მათ შორის ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე ჰყავს. ამის შესახებ უკრაინის ვიცე-პრემიერმა ირინა ვერეშჩუკმა განაცხადა. „ისინი რჩებიან ტყვეობაში და ყველაზე ცუდი ის არის, რომ იქ მშვიდობიანი მოსახლეობაა. მშვიდობიანი მოქალაქეები ზედიზედ რამდენიმე გაცვლის ფარგლებში არ გაათავისუფლეს“, - დასძინა უკრაინიც ვიცე-პრემიერმა. ამასთან, ვერეშჩუკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პატიმრებს შორის ბევრი ქალია. „თუ გავითვალისწინებთ, რომ 131 ქალმა დატოვა აზოვსტალი, მაშინ წარმოიდგინეთ რამდენი ქალია ტყვეობაში. მხოლოდ რამდენიმე დაბრუნდა. ქალები უნდა განთავისუფლდნენ. მათ საშინლად ეპყრობიან. რუსები მათ შეურაცხყოფენ, სცემენ, აწამებენ ჩვენს ქალებს. მსოფლიომ ჩუმად არ უნდა უყუროს და დააკვირდეს, როგორ კლავენ ჩვენს ქალებს ციხეში“, - განაცხადა ვერეშჩუკმა. მისი თქმით, უკრაინელ მამაკაცებს ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა, დატოვონ რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიები. „წასვლის შესაძლებლობა არის. სტატისტიკას ყოველ ღამე ვიღებ. კაცები და ქალები მიდიან. კაცები ვასილივკას გავლით მიდიან. დროებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან ყოველდღიურად 1200-1600 ადამიანი მიდის“, - განაცხადა ვერეშჩუკმა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ფესტივალი - ორი ქალაქის კიდევ უფრო დასაახლოებლად

ნანა აბულაძე 577 20 35 90

5-6 ოქტომბერს ბათუმი ოდესის მერვე საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალს უმასპინძლებს, რომლის ფარგლებში ქართველი და უცხოელი მწერლები უკრაინას და უკრაინელ მწერლებს სოლიდარობას ბათუმიდან გამოუცხადებენ.

ოთხი დღის განმავლობაში ჩვენს ქალაქში გაიმართება დისკუსიები, წიგნების პრეზენტაციები, პოეზიის საღამოები და ბევრი სხვა საინტერესო ღონისძიება, მათ შორის, ბავშვებისა და სტუდენტებისთვის. ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორია „გამომცემლობა წიგნები ბათუმში“. მის ხელმძღვანელ მარი კორინთელის თქმით, აღნიშნული ფესტივალით კიდევ ერთი, მეგობრობისა და სოლიდარობის ლიტერატურული ხიდი გაიდება შავი ზღვის ორ ქალაქს, უკრაინასა და საქართველოს შორის. ორგანიზატორები მადლობას უხდიან ყველას, ვინც დაეხმარა მათ აღნიშნული ფესტივალის ბათუმში გადმოტანასა და განხორციელებაში.

ფესტივალის შესახებ ვრცელ ინფორმაციას გაზეთი „აჭარა“ შემდეგ ნომრებში მოგაწვდით.

მეუღლე ია, შვილები გიორგი, ნათია, ძმა ვალერიანი, ძმისშვილები გიორგი, ათინა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი (ერიკ) გიორგის ძე
იმნაიშვილი.

დაკრძალვა 29 IX, 3 ს. გრიბოედოვის ქ. №6, IV სადარბაზო.

კომპანია «გეომარის» თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ირაკლი (ერიკ) გიორგის ძე იმნაიშვილი
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა ბაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 26/09/22, 21 20 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ბიაფი“ დასრულდა, გამარჯვებული ფილმები ცნობილია

ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი ერთი წლით და იმ იმედით დაემშვიდობა კინომოყვარულებს, რომ მომავალში ის პრობლემები, რაც წელს დაფინანსებასთან დაკავშირებით შეიქმნა, აღარ იქნება, ის ტრადიციული პარტნიორები სახელმწიფოს მხრიდან, ვინც წელს „ბიაფს“ უარი უთხრა დაფინანსებაზე, გაიაზრებენ, რომ ისე არაფერი უხდება ჩვენს ქალაქს სექტემბერში, როგორც ეს კინოფესტივალი

მოგეხსენებათ, „ბიაფის“ დაფინანსებაში დიდი როლი ითამაშა კამპანიამ #ერთადჩავატაროთბიაფი, რომელშიც არაერთი ადამიანი, ორგანიზაცია, საელჩო ჩაერთო და კინომოყვარულებს უკვე მეჩვიდმეტედ მიეცათ ქართული თუ უცხოური ფილმების პრემიერაზე დასწრების საშუალება.

25 სექტემბერს კინოთეატრ „აპოლოში“ „ბიაფის“ დახურვის ცერემონია გაიმართა. საერთაშორისო ჟიურიმ პრიზები ორ საკონკურსო სექციაში - საერთაშორისო მხატვრული და მოკლემეტრაჟიანი ფილმები გასცა.

BIAFF 2022-ის მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსის სექციის ხუთკაციანმა ჟიურიმ ლეხ მაიევსკის (პოლონეთი, ჟიურის თავჯდომარე), კარმენ გრეის (გერმანია), ლაშა ხალვაშის, ნინო ბასილიას, გელა ბაბლუანის (საქართველო) შემადგენლობით გამარჯვებულები გამოავლინა:

გრანპრი (საუკეთესო ფილმი) - „კლონდაიკი“, მარინა ერ გორბაჩი, თურქეთი/უკრაინა, 2022.

საუკეთესო რეჟისურა - მარინა ერ გორბაჩი ფილმისთვის „კლონდაიკი“, მარინა ერ გორბაჩი, თურქეთი/უკრაინა, 2022

საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - ამირ აგაე ფილმში - „ოთხი კედელი“, ბაშმან გობადი, თურქეთი/დიდი ბრიტანეთი, 2021 წ.

საუკეთესო მსახიობი ქალი - მარიამ ხუნდაძე ფილმში „ჩემი ოთახი“, რეჟისორი - სოსო ბლიაძე, საქართველო/გერმანია, 2022 წ.

ჟიურის სპეციალური პრიზი - „ჯოგის იმუნიტეტი“, ადილხან იერჟანოვი, ყაზახეთი/საფრანგეთი, 2021 წ. და „ჩემი ოთახი“, სოსო ბლიაძე, საქართველო/გერმანია, 2022 წ.

BIAFF 2022-ის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციის ჟიური სამი წევრისგან შედგებოდა - ზურაბ ცინცქილაძე (საქართველო), ილეანა სტანკულესკუ (რუმინეთი), თორნიკე გოგრიჭიანი (საქართველო). პრიზები გადაეცა შემდეგ ფილმებს:

საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი - „აქ სიმშვიდეა“, ნოვრუზ ჰიკმეტი / ოლენა პოდოლიანკო, უკრაინა, 2022 წ.

ჟიურის დიპლომი (სპეციალური მოხსენიება) გადაეცა ორ ფილმს:

„ქსელი“, ლევან უჩანეიშვილი, საქართველო, 2022 წ.

„აქ სანახავი არაფერია“, ნიკოლას ბუჩესი, პორტუგალია, 2022 წ.

ბათუმელ კინომოყვარულთა კლუბის პრიზი (ჟიური: როი აბუსელიძე, ანა ორმოცაძე, დაჩი მეჯიდოვი) ორ მოკლემეტრაჟიან ფილმს გადაეცა:

„აღდგომა“, ნიკოლოზ ვერძაძე, საქართველო, 2022 წ.

„რონინის აღსარება“, გიორგი ხუხუნაიშვილი, საქართველო, 2022 წ.

„ბიაფის“ პრიზი კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის წელს სამ ადამიანს გადაეცა, ესენი არიან მსახიობები ზურაბ ცინცქილაძე, თენგიზ არჩვაძე და ცნობილი პოლონელი რეჟისორი ლეხ მაიევსკი.

თავისი ემოციები გაგვიზიარა რეჟისორმა იოსებ (სოსო) ბლიაძემ, რომლის ფილმმა „ჩემი ოთახი“ ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა:

- პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ მთელი შემოქმედებითი ჯგუფი ძალიან ბედნიერი ვართ ამ გამარჯვებით, ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია, რომ მომავალში უფრო მეტი ფილმი გადავიღოთ. ამ სურათში საუბარია ახალგაზრდა ქალების პრობლემებზე საქართველოში. მე, როგორც რეჟისორს, შეიძლება ვინმემ სუბიექტურობაში ჩამითვალოს, მაგრამ ვთვლი, რომ ფილმში მსახიობები ძალიან კარგები არიან, კარგად წარმოაჩენენ იმ სათქმელს, რაც ქალბატონებს აწუხებთ. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ქალი მსახიობის საუკეთესო როლისთვის პრიზი მარიამ ხუნდაძეს ერგო. დიდი მადლობა „ბიაფს“, ძალიან მიყვარს ეს ფესტივალი და, როგორც აღმოჩნდა, მასაც „შევუყვარდით“ და აღიარეს ჩვენი შრომა.

როგორც მსახიობმა კახა მიქიაშვილმა გვითხრა, ბათუმი და სექტემბერი როგორც მისთვის, ასევე არაერთი ადამიანისთვის წარმოუდგენელია ამ კინოფესტივალის გარეშე:

- ვულოცავ „ბიაფს“ ამ საინტერესო რამდენიმე დღეს. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფესტივალი არა მარტო ბათუმისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, რომელიც მეჩვიდმეტე წელია, ღირსეულ სიტყვას ამბობს ქართულ კინოში და ზრუნავს მის განვითარებაზე. ძალიან საჭიროა მსგავსი ფესტივალები. იგი იძლევა შესაძლებლობას, გაეცნო სხვა ქვეყნის კულტურას, იმათ გააცნო ჩვენი და ასე დაიწყოს ფიქრი შემდგომ თანამშრომლობაზე, რის გარეშეც დღეს რთულია აკეთო რამე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან უხდება ბათუმს ეს ფესტივალი. მინდა მჯეროდეს, რომ მომავალში მსგავსი პრობლემა, რაც წელს შეექმნა „ბიაფს“, აღარ განმეორდება, - აღნიშნა კახა მიქიაშვილმა.



წელს საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალთან ერთად, ჩატარდა ფესტივალი „სინედოკ თბილისი 2022“, მისმა ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს „ბიაფს“ თანამშრომლობისთვის და აღნიშნეს, რომ ეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება და სტიმული იყო. ფესტივალმა თავისი გამარჯვებულები გამოავლინა, მათ შორის, და-ძმა ქობულეთიდან თინათინ და ხვიჩა ემირიძეები დოკუმენტური ფილმისთვის „რესპუბლიკა“, რომელიც ბათუმის ნაგავსაყრელსა და იმ ტერიტორიასთან ახლოს მცხოვრები მამაკაცის ყოველდღიურობაზე გვიყვება.

- დიდი მადლობა ფილმის გმირს, ასევე ჩემს გუნდს, რომელმაც, შეიძლება ითქვას, გაუსაძლის პირობებში (ნაგავსაყრელს და სუნს ვგულისხმობ) იმუშავა. აქ დავიბადეთ, ქობულეთელები ვართ, ფილმიც აქაა გადაღებული. ორმაგად სასიამოვნო შეგრძნებაა, რომ შენი ფილმი შენს კუთხეში მნიშვნელოვანი გახდა სხვა ადამიანებისთვის. გვინდა, რაც შეიძლება მეტმა ნახოს იგი. მიმაჩნია, რომ ბათუმი კინოქალაქია, აქ არის ძალიან ბევრი საინტერესო თემა და ადამიანი, როგორც დოკუმენტური, ასევე მხატვრული ფილმისთვის, ისევე, როგორც ჩვენი ფილმის - „რესპუბლიკა“ გმირი დათო. გვინდა ჩვენი ძალები მივმართოთ ბათუმში კინოს განვითარებისკენ, რისთვისაც მომავალშიც თავდაუზოგავად ვიშრომებთ, - აღნიშნა ახალგაზრდა რეჟისორმა თინათინ ემირიძემ.

ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალის ხელმძღვანელებმა ზვიად ელიზიანმა და გიორგი გოგიბერიძემ მადლობა გადაუხადეს თითოეულ ადამიანს, ორგანიზაციას თუ საელჩოს, ვინც თუნდაც ელემენტარული წვლილი შეიტანა „ბიაფის“ ჩატარებასა და საინტერესოდ წარმართვაში.

საოპერო ზეიმის დღეები – ბათუმში

საერთაშორისო ფესტივალმა „ბათუმის რაფსოდია“ და საერთაშორისო კონკურსმა „ოპერის ოქროს ხმა“, რომელიც ამ ფესტივალის ფარგლებში იმართება, სტარტი უკვე აიღო

ფესტივალი საზეიმო კონცერტით ბათუმის საზაფხულო თეატრში გაიხსნა, სადაც ოპერის არაერთი წარმატებული მომღერალი წარსდგა მაყურებლის წინაშე. მსოფლიოში აღიარებული სოპრანოს, ფესტივალის დამფუძნებლისა და პრეზიდენტის თამარ ივერის განცხადებით, აღნიშნული ფესტივალის დაარსება, ასევე, ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი, მისი დიდი ხნის ჩანაფიქრი იყო. მისივე თქმით, ქართული ხმები ნამდვილად განსაკუთრებულია და ძვირად ფასობს, შესაბამისად, დიდ ყურადღებას იქცევს მსოფლიოს საოპერო საზოგადოებაში. აღსანიშნავია, რომ კონკურსში 30 ქვეყნის 80-მდე ოპერის მომღერალი ჩაერთო, მათგან საუკეთესოს საერთაშორისო ჟიური 30 სექტემბერს გამოავლენს.

- დღეს ვარ უბედნიერესი, ჩემი რამდენიმე წლის წინ ჩაფიქრებული ოცნება, რომ ამ ქალაქში საოცარი, ჯადოსნური ფესტივალი და კონკურსი შემექმნა, განხორციელდა და ეს მოხდა კეთილი და გვერდში მდგომი ადამიანების დახმარებით. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ დაიწყო ჩვენი დიდი პროექტი, სტარტი ავიღეთ ბათუმში, რათა აღმოვაჩინოთ ოპერის ახალი „ოქროს ხმა“. არ აქვს მნიშვნელობა მის ეროვნებას, წარმომავლობას, მთავარია, იყოს ღირსეული ამ ტიტულისთვის. ათწლეულების წინ როგორც თამარ ივერი - პატარა, „უპატრონო“ გოგო გახდა სრულიად ობიექტურად პირველი პრემიის ლაურეატი, ასევე, ობიექტურად მინდა რომ ჩატარდეს ეს კონკურსი და ამისათვის სპეციალურად ჩამოვიდნენ მსოფლიოს საოპერო ინდუსტრიის წარმომადგენლები, ჟიურის წევრები და ცნობილი ადამიანები. თითოეული მათგანი დაინტერესებულია საქართველოთი, ჩვენი ხმებით, მომღერლებით, რადგან იციან, რა ძვირფას ხმას ფლობენ ქართველი მუსიკოსები. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჟიურის წევრებს, კონკურსის მონაწილეებს, თითოეულ ადამიანს, ვინც დაესწრება საოპერო ზეიმს ბათუმში და გულწრფელ ემოციებს გაგვიზიარებს. წარმატებებს ვუსურვებ კონკურსანტებს, მათ ეძლევათ პროფესიული განვითარებისა და საკუთარი ნიჭის მსოფლიოს მასშტაბით წარმოჩენის შესაძლებლობა. ორმა და სამმა საოპერო მომღერალმა კარიერული სტარტი რომ აიღოს ამ კონკურსიდან და წარმატებული მომავალი შეიქმნას, ჩავთვლი, რომ ჩემი და პროექტის მისია შესრულებულია, - განაცხადა თამარ ივერმა.

ფესტივალისა და კონკურსის შესახებ შთაბეჭდილება გაგვიზიარა სახელოვანმა საოპერო მომღერალმა ლადო ათანელმა.

- მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები ჩემს საყვარელ ბათუმში, რისთვისაც კიდევ ერთხელ მინდა ჩემს უსაყვარლეს კოლეგა თამარ ივერს დიდი მადლობა გადავუხადო. მადლობა მას ამ საოცარი ჩანაფიქრის განხორციელებისა და ასეთი კომპეტენტური ჟიურის მოწვევისთვის. ჩვენი განწყობა უაღრესად პოზიტიურია, გვყავს ძალიან კარგი კონკურსანტები და იმედი მაქვს, რომ იმ მიზანს, რასაც ჰქვია ოქროს ხმის აღმოჩენა, მივაღწევთ. კიდევ ერთხელ წარმატებებს ვუსურვებ თითოეულ კონკურსანტს და ვულოცავ ბათუმს ამ არაჩვეულებრივი ფესტივალისა და კონკურსის დაბადებას, - აღნიშნა ლადო ათანელმა.

თბილისის ოპერის თეატრის სოლისტ ირაკლი მურჯიკნელის თქმით, მსგავსი ტიპის კონკურსები როგორც ქალაქისთვს, ასევე ქვეყნისთვის და ოპერის ახალგაზრდა მომღერლებისთვის არის უმნიშვნელოვანესი, რადგან მათ მოუსმენენ მსოფლიოს მასშტაბით ოპერის ინდუსტრიაში მოღვაწე ადამიანები.

აღნიშნული კონკურსის დასკვნითი საღამო, სადაც გამარჯვებულები გამოვლინდებიან, 30 სექტემბერს ბათუმის დრამატულ თეატრში გაიმართება. აღსანიშნავია, რომ საპრიზო ფონდი 15 000 ევროს შეადგენს, პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ მონაწილეებს, ფულადი ჯილდოს გარდა, ფასიანი საჩუქრები გადაეცემათ.

გვერდი მოამზადა
ნანა აბულაძემ